პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტი

№204 (12 274)

30 აგვისტო ხუთშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი

ყაზბეგი ეროვნული ბიბლიოთეკა

UEFA CHAMPIONS LEAGUE

ლიგაში ერთი ვაკანსია დარჩა

დღეს მათ ჯგუფებს შეურჩევენ

რეალი
ბარსელონა
ინტერი
რომა
მილანი
მანჩესტერი
ჩელსი
შტუტგარტი
შალკე
ლიონი
მარსელი
პორტუ
სპორტინგი
ოლიმპიაკოსი
ეინდჰოვენი
ცსკა მოსკოვი
ლივერპული
რეინჯერსი
ლაციო
დინამო კიევი
შახტარი
სტიაუა
ბეშიქთაში
ვალენსია
რუსენბორგი
სლავია
ვერდერი
ფენერბაჰჩე
არსენალი
ბენფიკა
სელტიკი
სევილია ან აეკ

III საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები 6

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი. B დივიზიონი

როცა მოგების შნო არ გაქვს

...უნდა ილოცო შვეიცარიის წაგებისთვის!

ისლანდია-საქართველო 76:75

18:23, 18:15, 16:17, 24:20

ისლანდია: მ. გუნარსონი (6 ქ), სტეფანსონი (3), სიგურდარსონი (16), ბიორნსონი (2), მაგნუსონი (4), ვილბერგსონი (9), ბირმინგემი (13), ლ. გუნარსონი (17), ოლაფსონი (6)

საქართველო: გამყრელიძე (3 წთ, 1 შ), ვ. ბოისა (28 წთ, 14 ქ, 7 მ, 1 პ, 1 შ, 1 ჩ), ა. ბოისა (17 წთ, 3 მ, 1 პ, 1 ჩ, 1 შ), ფაჩულია (38 წთ, 15 ქ, 11 მ, 4 დ, 4 პ, 2 ჩ, 3 შ), ცინცაძე (21 წთ, 9 ქ, 4 მ, 1 პ, 3 ჩ, 2 შ), სანიკიძე (6 წთ, 3 ქ, 5 მ, 1 შ), მარკოიშვილი (39 წთ, 16 ქ, 3 მ, 3 პ, 3 ჩ, 1 დ, 1 შ), ნაცვლიშვილი (7 წთ, 1 ქ, 1 ჩ, 1 დ, 1 შ), ელისი (37 წთ, 17 ქ, 3 მ, 5 პ, 2 ჩ, 2 შ)

ქართული კალათბურთის სირცხვილია ისეთი ეროვნული ნაკრების ყოლა, რომელიც თავისზე ყველანაირი საზომით სუსტ ისლანდიასთან წააგებს - არა აქვს მნიშვნელობა, გუნდმა მძიმედ დაიწყო სეზონი, ახლახან შეიცვალა მთავარი მწვრთნელი, სტუმრად თამაშის სინდრომი აწუხებს თუ მოკლე სკამის პრობლემა. თუკი რაიმე ამბიცია და პრეტენზია გვაქვს, ასეთ გუნდებს შინ თუ გარეთ, ათიდან ათ შემთხვევაში უნდა ვამარცხებდეთ. სხვა შემთხვევაში, ელიტაში არაფერი გვესაქმება.

არ ვიცით, რაში მდგომარეობს გუშინდელი კოშმარის მიზეზი, მაგრამ ერთი რამ დღესავით ნათელია: თუკი წელსაც B ჯგუფში ჩავრჩით (რაც გუშინ სავსებით რეალური გახდა), ვიღაცამ აუცილებლად უნდა აგოს პასუხი.

შესავალი ცოტა გაგვიგრძელდა და მართალია, ამის დიდი ხალისი არ გვაქვს, მაგრამ უშუალოდ ისლანდია-საქართველოს მატჩსაც შევეხოთ. სამწუხაროდ, **კენ შილდსის** შეგირდებმა ვერ გაითვალისწინეს წინა შეხვედრაში მიღებული მწარე გამოცდილება და დაცვაში კვლავ უსუსურად ითამაშეს. გუნდი აშკარად დეზორგანიზებული და ნაკლებად დამუხტული მოგვეჩვენა.

ძალიან დაგვაკლდა **ვიქტორ სანიკიძე**, რომელმაც პირველსავე პერიოდში მიიღო ტრავმა და თამაში ვეღარ გააგრძელა. ვინ იცის, როგორ გამოგვდგომოდა ნაკრებსმილმა დარჩენილი **ნიკოლოზ ცქიტიშვილიც**...

პირველი ტაიმი თანაბარ ბრძოლაში მიიღია. ოდნავ უპირატესობას ფლობდნენ ჩვენი კალათბურთელები და ისიც, ძირითადად, **მარკოიშვილისა** და **ელისის** შედეგიანი თამაშის წყალობით. აშკარად არ მისდიოდა თამაში **ზაზა ფაჩულიას**, რომელსაც ისლანდიელები კარგად იჭერდნენ და ფარქვეშ შესვლის საშუალებას არ აძლევდნენ, ხოლო საშუალო დისტანციიდან ზაზას სროლები არ მისდიოდა. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ შეტევაში, ძირითადად, ინდივიდუალური გარღვევების იმედად ვიყავით. მეტოქისაგან განსხვავებით, ძალიან გვიჭირდა პერიმეტრის გამოთავისუფლება და მსროლელის უმეთვალყურეოდ დატოვება.

ისლანდია-საქართველო. ბურთით გიორგი ცინცაძე

დიდი შესვენების შემდეგ, მხოლოდ ორი ქულით ვიგებდით, რაც არანაირად არ გვაძლევდა დამშვიდების საშუალებას. არადა, მატჩის განმავლობაში რამდენჯერმე დავწირაუნდით 5, 6, ერთხელ 9 ქულითაც, მაგრამ კონცენტრაციის შენარჩუნება ვერაფრით მოხერხდა. თითქოს გარდატეხილ თამაშში უამრავჯერ მოგვიხდა ყველაფრის თავიდან დაწყება.

მატჩის კულმინაციური მომენტი დადგა უკანასკნელ წუთზე. შეხვედრის დამთავრებამდე 1:10 წუთით ადრე, **ვლადიმერ ბოისას** ორქულიანით, საქართველოს ნაკრები 74:72 დაწინაურდა.

0:35 წუთით ადრე, შეტევაში ბურთი დავკარგეთ. 13 წამით ადრე კი ბურთი ისევ ჩვენს ხელთ აღმოჩნდა. ანგარიში ტაბლოზე უცვლელი იყო - 74:72. მასპინძლები **ზაზა ფაჩულიაზე** შეგნებულად დაჯარიმდნენ და ზაზამ ორიდან ერთი სროლა გამოიყენა - 75:72.

ისლანდიელთა უკანასკნელი შეტევისას, **ტაირონ ელისი** ასევე შეგნებულად და აბსოლუტურად გამართლებულად დაჯარიმდა. **ლოჯი გუნარსონმა** პირველი საჯარიმო ჩააგდო, მეორე ააცილა, თავადვე მოხსნა და ერთი რიკოშეტის შემდეგ ბურთი უმეთვალყურეოდ დატოვებულ **სიგურდარსონს** მიაწოდა. ამ უკანასკნელმა საბედისწერო სამქულიანი სტყორცნა და იქვე საფინალო სირენის ხმაც გაისმა - ისლანდიამ სენსაციურად მოგვიგო მინიმალური სხვაობით, ბოლო შეტევაში დაგროვილი 4 ქულის წყალობით. ყველაზე კოშმარულ სიზმარშიც ვერ წარმოიდგენდი ასეთ ფატალურ დასასრულს!

ახლა ისღა დაგვრჩენია, რომ ყოვლად გაუმართლებელი წაგების შემდეგ, მეტოქეთა გულმოწყალების იმედად დავრჩეთ და საუკეთესო მეორეადგილოსნის სტატუსით გავძვრეთ ფლეიოფში. შანსი მხოლოდ მაშინ დაგვრჩება, თუ ფინეთს დავამარცხებთ, ხოლო A ჯგუფში მეორე ადგილზე მყოფი შვეიცარია კიდევ ერთ მატჩს წააგებს. ისიც იმ შემთხვევაში, თუ სამ მეორეადგილოსანს შორის საუკეთესო შედეგი აღმოგვაჩნდება. ვილოცოთ შვეიცარიის წაგებისთვის!

კობა ხატისაშვილი

C ჯგუფი

ავსტრია-ლუქსემბურგი 79:46

	თ	მ	წ	ქ
1. ფინეთი	6	6	0	12
2. საქართველო	7	5	2	12
3. ავსტრია	7	3	4	10
4. ისლანდია	6	2	4	8
5. ლუქსემბურგი	6	0	6	6

A ჯგუფი

	თ	მ	წ	ქ
1. რუმინეთი	4	4	0	8
2. შვეიცარია	4	3	1	7
3. ირლანდია	4	1	3	5
4. კვიპროსი	4	0	4	4

B ჯგუფი

პოლანდია-ბრიტანეთი 64:83
ალბანეთი-სლოვაკეთი 73:93

	თ	მ	წ	ქ
1. ჰოლანდია	7	4	3	11
2. სლოვაკეთი	7	4	3	11
3. ბრიტანეთი	6	4	2	10
4. ბელარუსი	6	4	2	10
5. ალბანეთი	6	0	6	6

და ისევ სიკვდილი ფეხბურთში



გუშინ კიდევ ერთი ფეხბურთელი დაიღუპა. ისრაელის მეორე დივიზიონში მოასპარეზე ბეერშევას "ჰაპოელის" 27 წლის ზამბიელი ფორვარდი ჩასვე ნსოფვა ვარჯიშის დროს მოედანზე უგონოდ დაეცა, გული გაუჩერდა და გარდაიცვალა. იქვე მყოფი თანაგუნდელები და ექიმები ბევრს ეცადნენ, მაგრამ საბრალოს ვერაფერი უშველეს. ჯერჯერობით, ფეხბურთელის სიკვდილის მიზეზი უცნობია. ამასწინათ, ნსოფვამ ფიზმომზადების ტესტი წარმატებით ჩააბარა. ადრე მას სამარის "კრილია სოვეტოვში" აქვს ნათამაშები...

რიკელმე ატლეტიკომ წაიყვანა

უცხოური ფეხბურთი 5-8

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

უეფას თასი. რაპიდი–დინამო. საპასუხო მატჩი

რაპიდთან დანაკლისით

მესამე დღეა, რაც თბილისის "დინამო" ვენაში, სასტუმრო "შტაინბერგერშია" დაბინავებული და "რაპიდთან" საპასუხო მატჩისთვის ემზადება. შეგახსენებთ, რომ ავსტრიელებთან თამაშამდე **დუშან უჰრინის** გუნდს პრობლემები მოეძალა. დაშავებულ **დიდიე ოვონოს, დავით ოდიკაძისა** და **შოთა კაშიას** ტრავმები დაემატა. ამას გარდა, ახლადგამოჯანმრთელებული **სოსო გრიშიკაშვილი** ჯერ კიდევ არაა ფორმაში და დღეს "დინამოს" კარის დაცვა **გიორგი ლორიას** ან **გიორგი მაკარიძეს** მოუწევს. გუშინ სალამოს დუშან უჰრინმა "რაპიდის" საშინაო არენაზე, "გერჰარდ ჰანაპიზე" მატჩისწინა ბოლო ვარჯიში ჩაატარა.

მეკარეები: **გიორგი ლორია, გიორგი მაკარიძე**

მცველები: **ნედ ზელიჩი, მილოშ კრშკო, გურამ კაშია, გულვერდ თომაშვილი, რომან დობეში.**

ნახევარმცველები: **დავით დიღმელაშვილი, ლევან ხმალაძე, ნიკა ფირცხალავა, სანდრო კობახიძე, გიორგი მერებაშვილი, გიორგი ფეიქრიშვილი, მიხეილ ხუციშვილი.**

თავდამსხმელები: **ბორის გონჩაროვი, ჯორჯ აკირემი, ილია სპასოევიჩი.**

აი, ეს 17 ფეხბურთელი გახლავთ უჰრინის განკარგულებაში.

დღეს, "რაპიდი"-"დინამოს" მატჩი თბილისის დროით 22:30 სთ-ზე დაიწყება. მატჩს კვიპროსელი მსაჯები მოემსახურებიან. არბიტრი **პანაიოტის კაილისია**, თანამსაჯები **ვასოს არგიროუ** და **კიპროს ნიკოლაუ**, მეოთხე მსაჯი კი **პანიკოს ანდრონიკუა.**

დავით ცაბაძე



შინ 0:3 წაგების შემდეგ, დინამოელებს უეფას თასის მომდევნო ეტაპზე გასვლის მხოლოდ თეორიული შანსიღა შემორჩათ. თუმცა ვენაში გასამართ მატჩში "დინამომ" პრესტიჟი უნდა დაიცვას და თუ კარის გაჯახუნებასაც შეძლებს, ამას რა აჯობებს.

საინტერესოაქ რას ფიქრობს მომავალ მატჩზე დინამოელთა ლიდერი გიორგი მერებაშვილი, რომელმაც პოლონეთში, 21-წლამდელთა ნაკრებშიც ითამაშა. ამას გარდა, კლაუს ტოპმიოლერი ეროვნულში ახალი სახეების გამოჩენას გვპირდება. მათ შორის კი გიორგი მერებაშვილიც მოიაზრება.

ინტერვიუ
გიორგი მერებაშვილთან

ვენაში მაინც ბოლომდე ვიბრძოლებთ

- გიორგი, როგორ მიდის "რაპიდთან" საპასუხო მატჩისთვის მზადება?

- სამწუხაროდ, ამ შეხვედრას დანაკლისითა და პრობლემებით ვხვდებით. დათო ოდიკაძის, შოთა კაშიას, სოსო გრიშიკაშვილისა და დიდიე ოვონოს გამოკლება, რა თქმა უნდა დიდი დანაკლისია. ამას ისიც ემატება, რომ "რაპიდი" ძლიერი გუნდია, შინ 0:3 გვაქვს წაგებული და ძნელი წარმოსადგენია, რომ მომდევნო ეტაპზე გავიდეთ, მაგრამ ჩვენ საბრძოლოდ ვემზადებით და ბოლომდე ვიომებთ.

- 0:3 შინ წაგება მცირე ფსიქოლოგიური დარტყმა ნამდვილად არაა. ფსიქოლოგიური წნეხის მოხსნა თუ შეძლო გუნდმა?

- ჩვენ პროფესიონალები ვართ და იმ წაგების დავიწყებაც შევძელით. ჩემპიონატში ორივე თამაში მოვიგეთ და გუნდის განწყობაზე ამანაც დადებითად იმოქმედა. ასე რომ, წესით ფსიქოლოგიურმა წნეხმა პრობლემები არ უნდა შეგვიქმნას.

- ბუნებრივია, "რაპიდთან" საშინაო მატჩი გააანალიზეთ. მაინც, რით ახსნი იმ წაგებას?

- სამივე გოლი ჩვენი უხეში შეცდომებით გავუშვით, თორემ თამაშის მსვლელობით თუ ვიმსჯელებთ, 0:3 წაგებას ნამდვილად არ ვიმსახურებდით. "რაპიდი" ძლიერი გუნდია, ავსტრიულ ბუნდესლიგაშიც წარმატებით ასპარეზობს, პირველ ადგილზეა. შეიძლება ითქვას, რომ ეს გუნდი ახლა პიკზეა.

- ვითარებას მეორე მხრიდან რომ შევხედოთ, სტუმრად 3:0 მოგების შემდეგ, "რაპიდისთვის" საპასუხო საშინაო მატჩი ერთგვარად მოტივაციასაც კი კარგავს, თუ ფიქრობ, რომ პეტერ პაკულტის გუნდს ტრიბუნები არ მისცემს მოდუნების საშუალებას?

- "რაპიდს" მომდევნო ეტაპზე გასვლა თითქმის განაღდებული აქვს, მაგრამ ისინი პროფესიონალები არიან და ვფიქრობ, საპასუხო შეხვედრაშიც მაქსიმალურად დაიხარჯებიან.

- შინ დამარცხებულ და უიმედო ვითარებაში მყოფ გუნდს, სტუმრად მოუგია და კარი გაუჯახუნებია. "დინამო" თუ არის მზად საამისოდ და მრისხანე "რაპიდთან" ეს რამდენად შესაძლებელი იქნება?

- სასურველი შედეგისთვის ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლებთ. ვენაში მოსაგებად გავალთ მოედანზე და ყველანაირად შევეცდებით, გულშემატკივარი გავახაროთ.

- 21-წლამდელთა ნაკრების რიგებში, პოლონეთში ითამაშე. იმ მატჩზე რისი თქმა შეგიძლია?

- სამწუხაროდ, დავმარცხდით და ამ წაგებას თავისი მიზეზები აქვს. თამაშის მსვლელობიდან გამომდინარე, ჩვენ ვფლობდით უპირატესობას და მცირედით რომ გაგვმართლებოდა, კრაკოვში ნამდვილად არ წავაგებდით. მეც შემეძლო გოლის გატანა და თანაგუნდელებსაც. მსაჯებზე საუბარი არ მჩვევია, მაგრამ კრაკოვში ორს თუ არა, ერთ პენალტს ნამდვილად ვიმსახურებდით. კრაკოვში 0:2-ის შემდეგაც არ მოვეშვით და ბოლომდე ვიბრძოლეთ, ერთი ბურთიც გავქვითეთ, მაგრამ პოლონელთა მესამე გოლმა ყველაფერს წერტილი დაუსვა.

- ლუქსემბურგში უგოლო თამაშის შემდეგ ნაკრების თავკაცობა ეროვნულში ახალი სახეების გამოჩენას დაგვპირდა. ახალ მოთამაშეებს შორის შენც მოიაზრები. ქვეყნის მთავარ გუნდში სათამაშოდ რამდენად მზად ხარ?

- ეროვნულში გამოძახებაზე ხმებმა ჩემამდეც მოაღწია. ვფიქრობ ეროვნულ ნაკრებში სათამაშოდ მზად ვარ. თუ გამომიძახებენ, უზომოდ ბედნიერი ვიქნება და ყველაფერს გავაკეთებ, მწვრთელთა იმედი რომ გავამართლო.

- ფსიქოლოგიურად, რამდენად მზად ხარ?

- ეროვნულ ნაკრებში აქამდეც ვიყავი გამოძახებული, მაგრამ თამაში არ მომიწია. კლაუს ტოპმიოლერის გუნდში ვარჯიში ჩემთვის ახალი არ იქნება. შესაძლოა გარკვეული მღელვარება მქონდეს კიდეც, მაგრამ თავის ხელში აყვანა შემიძლია და კარგად ვიცი, მოედანზე გასვლისას ეს მღელვარება მომეხსნება.

დავით ცაბაძე

საქართველოს თასი

ჯგუფური თითქმის შეივსო

ტორპედო–კოლხეთი 0:0

29 აგვისტო. ქუთაისი.
ცენტრალური

ტორპედო: **ბზიკაძე, გაბუნია, ვაშაყმაძე (46. ხინგავა), კოხოძე (46. კეჭეყმაძე), დათვაძე, გოდერიძე, კირკიტაძე, დანელია, გორგოძე (61. ძაგანია), შავგულიძე, მდივნიშვილი**

სათადარიგოები: **ბერეკაშვილი, ხარებავა**

კოლხეთი: **მიქავა, ტყებუჩავა, ცქვიტაია, წაბრია, ლემონჯავა, აბურჯანია (46. ხიზანიშვილი), გვიჩია (76. სიჭინავა), სახოკია, კარტოზია (58. ალასანია), ნარსია, ციკორია**

სათადარიგო: **შენგელია**

გაფრთხილება: **ცქვიტაია (13), ციკორია (25), კარტოზია (43), გაბუნია (45), დათიაშვილი (53), დანელია (62)**

არბიტრი: **დ. ხარიტონაშვილი**

გუშინ, დავით ყიფიანის სახელობის თასის ყაზბეგის გათამაშების პირველი ეტაპის გადადებულ მატჩში, ერთმანეთს ქართული ფეხბურთის ორი გამორჩეული წარმომადგენელი ქუთაისის "ტორპედო" და ფოთის "კოლხეთი" დაუპირისპირდნენ. უფრო ზუსტნი ვიქნებით, თუ ვიტყვით, რომ ერთმანეთს "ტორპედოსა" და "კოლხეთის" აჩრდილები ეთამაშებოდნენ. ამ გუნდებს თავიანთ წარსულთან მხოლოდ სახელებიღა თუ აკავშირებთ.

მატჩი საკმაოდ ულიმლამო გამოდგა. ბევრი იყო წუნი, ფეხბურთელები მარტივ სიტუაციაში კარგავდნენ ბურთს და ხშირ შემთხვევაში, ზედიზედ ორი პასის გაკეთებას ვერ ახერხებდნენ. პირველ ტაიმში მეტოქეებმა ორი სახიფათო მომენტი გაცვალეს. ქუთაისელთაგან ყველაზე მეტს **შავგულიძე** აქტიურობდა. მან ორჯერ სახიფათოდ შეასრულა საჯარიმო დარტყმა. პირველად მისი დარტყმული მეკარე **მიქავამ** მოიგერია, მეორედ კი შავგულიძემ კოლხთა ხარიხა შეაზანზარა. ფოთელთაგან **კარტოზიასა** და **ციკორიას** შეეძლოთ თავის გამოჩენა, მაგრამ ახლო მანძილიდან ვერ იხეირეს.

მეორე ტაიმი უფრო დინამიური გამოდგა. თავდაპირველად ქუთათურები მეტს უტევდნენ, **დანელიამ** ორჯერ სახიფათოდ დაარტყა, მაგრამ უშედეგოდ. ტაიმის შუა წელიდან ფოთელები უფრო გააქტიურდნენ და გოლიც გაიტანეს, თუმცა მანამდე არბიტრმა თამაშგარე დააფიქსირა.

საპასუხო მატჩი 5 სექტემბერს გაიმართება.

დავით კოხრეიძე
ქუთაისიდან

მგლები–სამტრედია 3:0

29 აგვისტო. ზუგდიდი.
ცენტრალური

1:0 ბაკარანძე (33), 2:0 კრასოვსკი (65), 3:0 ლიპარტია (86)

პირველი მატჩი: 2:0

დუშეთი–კახეთი 0:0

29 აგვისტო. დუშეთი.
ცენტრალური

პირველი მატჩი: 2:3

თასის ჯგუფურ ეტაპზე იასპარეზებენ:

ამერი (თბილისი)
ზესტაფონი (ზესტაფონი)
ოლიმპი (რუსთავი)
დინამო (თბილისი)
ვიტ ჯორჯია (თბილისი)
ბორჯომი (ბორჯომი)
ლოკომოტივი (თბილისი)
მერანი (თბილისი)
ბათუმი (ბათუმი)
მგლები (ზუგდიდი)
მესხეთი (ახალციხე)
დილა (გორი)
სპარტაკი (ცხინვალი)
კახეთი (თელავი)
მაღაროელი (ჭიათურა)
ტორპედო (ქუთ.) ან კოლხეთი (ფოთი)

სტრიტბოლი

მარტყოფი ნორიოს წინააღმდეგ

ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის ტერიტორიაზე მიმდინარე სტრიტბოლის ტურნირი დასასრულს უახლოვდება. გუშინ ფინალისტები გამოვლინდნენ. როგორც ანგარიშებიდან ჩანს, ორივე ნახევარფინალურმა მატჩმა დაძაბულ ორთაბრძოლაში ჩაიარა.

მარტყოფი–კრწანისი 5:4

გ. ეპიტაშვილი (3), ბ. ბერიძიშვილი (2) - დ. მაკარიძე (2), გ. პაპუნაშვილი, გ. ხეცურიანი

ნორიო–მგლები 6:4

ნ. იმერლიშვილი (3), გ. კაკაშვილი (2), ა. ყურფარაშვილი - გ. კანდელაკი, ბ. სამსონია, ბ. სხილაძე, ზ. მახარაშვილი

ფინალური შეხვედრა "მარტყოფსა" და "ნორიოს" შორის 1 სექტემბერს ჩატარდება. ფინალის შემდეგ დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართება.

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადახდა სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

www.kazbegi.com

გაზეთი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ინტერვიუ ზურაბ ფოცხვერიასთან

საქართველოში მასმედია ფეხბურთის სუსტი პარტნიორია

"ამერს" თავისი პლუსები და მინუსები აქვს, მაგრამ საერთო ჯამში, ჯანსაღი წარმონაქმნია ქართულ ფეხბურთში. ვერავინ იტყვის, რომ "ამერმა" თამაშები ჩააწყო და ასე მოიგო ზედიზედ ორჯერ საქართველოს თასი. "ამერმა" შეიქმნა რეპუტაცია, თუმცა ყველაფერში წარმატებული ვერ არის, თუნდაც გუნდის სელექციაში და სატრანსფერო პოლიტიკაში. დავუშვათ, რომ ეს მხოლოდ სუბიექტური, ჟურნალისტური აზრია, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ "ამერი" მყვირალა ტრანსფერებს არ ახორციელებს და მის ახალგაზრდა მოთამაშეებში ძალიან ცოტაა ისეთი, საინტერესო ფეხბურთელი რომ ეთქმის.

კლუბის პრეზიდენტ ზურაბ ფოცხვერიასთან ინტერვიუც აქედან დავიწყეთ...

ამაქეთ სახელმწიფო ბიუჯეტიდან თუ სახელმწიფო შპს-დან დაფინანსებული კლუბები და იქით კერძო სტრუქტურა - ასეა ქართული საკლუბო ფეხბურთის საქმე. ფეხბურთის კლუბი თბილისის "ამერი" კერძო სტრუქტურაა და მნიშვნელოვანი წარმატებებიც აქვს - ზედიზედ ორჯერ მოიგო საქართველოს თასი, ერთხელაც სუპერთასი, მაგრამ ეს არ არის ის მიღწევა, რაც კლუბს სოლიდურ ფინანსურ დივიდენდებს მოუტანს და მის მეპატრონეებს კიდევ უფრო მეტ სტიმულს მისცემს. საქართველოში ჯერ არ არსებობს საამისო გარემო, საკანონმდებლო ბაზა და სახელმწიფოს მხრიდან ისეთი ხელშეწყობა, რომ საფეხბურთო კლუბმა უფრო მხნედ და დიდად გაშალოს ფრთები.

"ამერი" არ შექმნილა იმისთვის, რომ ვიღაცამ საზოგადოებაში ადგილი დაიმკვიდროს, რენომე თუ რესპექტაბელურობა შეიძინოს. შეიძლება ითქვას, "ამერი" - აპოლიტიკური კლუბია, რომელსაც თავისი ჩამოყალიბებული პოლიტიკა აქვს, თუმცა ამ ეტაპზე ისევ ძიებაშია, რამეთუ საქართველო კვლავაც არასტაბილური ქვეყანაა და ღმერთმა უწყის, რა მოხდება ხვალ...

- არც წინა სეზონში და არც ამ სეზონის წინ "ამერმა" შთამბეჭდავი სატრანსფერო საქმიანობა ვერ გააჩაღა. კლუბმა რამდენიმე ახალი ფეხბურთელი აიყვანა, თუმცა საინტერესოა, ეს კლუბის გემოვნების გამომდინარე მოხდა თუ მისი შესაძლებლობების? ისიცაა, რომ თქვენი კლუბის მიზანი ალბათ უეფას თასის თუ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრაა და საამისოდ მთავარი, ალბათ, ფეხბურთელთა კონტინგენტია...

- მთავარი უფრო გუნდია და არა ცალკეული ფეხბურთელები. სელექციის დროს ბევრი რამ არის დამოკიდებული ფინანსურ საშუალებებზე და მწვრთნელის სურვილზე. წინა სეზონში "ამერმა" სუპერთასი და თასი მოიგო, ჩემპიონატში კი მესამე ადგილზე გავიდა - ეს ურიგო შედეგი როდია, თუმცა მეტიც შეგვეძლო. საამსეზონოდ ექვსი ფეხბურთელი დავიმატეთ. ვაკვირდებოდით უცხოელ მოთამაშეებსაც, მაგრამ ვისი აყვანაც ხელს გვაძლევს, ისინი ჩვენს ფინანსურ შესაძლებლობებს აღემატებიან.

- კულუარებში ისეთი ხმები გავრცელდა - "ამერის" ერთ-ერთ მნიშვნელოვან დამფინანსებელ კომპანია PROGETRA-ს ისე კარგად ვერ მისდის საქმე, რომ კლუბმა შთამბეჭდავი ტრანსფერები განახორციელოს. რამდენად საფუძვლიანია ასეთი ხმები?

- PROGETRA-ს საქმეები როგორ მისდის, ეს "ამერზე" არ აისახება. ჩვენ ექვსწლიანი პროგრამა გვქონდა, რომელიც წლეულს ინურება. "ამერს" ამ კომპანიის გარდა დაფინანსების სხვა წყაროებიც აქვს.

- და როგორი იქნება "ამერის" სამოქმედო პროგრამა მომავალში?

- კლუბის სამომავლო სტრატეგია ნოემბერში გაირკვევა - სამწლიან პროგრამას შევიმუშავებთ.

- და უმთავრესად რაზე იქნება დამოკიდებული "ამერის" სამომავლო პროგრამა?

- ბევრ რამეზე, ყოველივეს ანალიზი უნდა გავუკეთოთ. ერთი სიტყვით, ნოემბერში ყველაფერზე ჩამოვყალიბდებით.

- ასეთ დროს ალბათ ძალიან მნიშვნელოვანია, თუ რა დამოკიდებულებას და პერსპექტივას გრძნობს საფეხბურთო კლუბის მფლობელი და თუ რა ხელშეწყობა ექნება მას სახელმწიფოსგან. ამას წინათ, ხელისუფლების ერთ-ერთმა თვალსაჩინო ფიგურამ, კოტე გაბაშვილმა გვითხრა, თუ საფეხბურთო კლუბების წარმომადგენლებს კონცეპტუალური მოსაზრებები აქვთ, წარმომიდგინონ და მათი ინტერესების დაცვას ყველანაირად შევეცდებიო - არ აპირებთ გამოეხმაუროთ ასეთ ინიციატივას?

- თუ ამის საშუალება იქნება, ბატონ კოტეს სიამოვნებით შევხვდები. მის ვაჟთან გიორგისთან უკვე ვისაუბრე და დავინახე განწყობა, რომ ქართულ საკლუბო ფეხბურთს მხარდაჭერა ჰქონდეს, მაგრამ ეს დროის ამბავია და თუ ზუსტად როდის რა მოხდება, ამის პროგნოზირება შეუძლებელია.

- უკვე ხუთი წელია, რაც "ამერი" შეიქმნა. როგორ ფიქრობთ, ამ ხნის განმავლობაში კლუბმა რა შეცდომები დაუშვა?

- ჩვენ შეცდომას ყოველდღე ვუშვებთ, რამეთუ ყოველდღიური სამუშაო გრაფიკი გვაქვს.

- ფეხბურთის ფედერაციას წლევანდელი ყრილობის წინ თქვენ განაცხადეთ, რომ ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებში მხარს ნოდარ ახალკაცს უჭერდით. გამომდინარე იქიდან, რაც არჩევნებზე მოხდა, რამდენად კომფორტულად გრძნობთ თავს?

- ძალიან არასასიამოვნო და ულამაზო რამ მოხდა. წმინდა ადამიანური ასპექტით, პრეზიდენტობის ორივე კანდიდატს თანავუგრძნობ.

- ამასწინანდელ ერთ-ერთ ინტერვიუში თქვით, დღეს ქართული ფეხბურთი ქართულ სპორტულ მედიაზე მაღლა დგასო. რა არგუმენტებით გაამყარებდით თქვენს ამ მოსაზრებას?

- ასეთი განცხადება გავაკეთე როგორც პრესის მკითხველმა და ფეხბურთის მაყურებელმა, ვიგულისხმე ის, თუ რა კეთდება ფეხბურთში და მედიაში.

- თქვენ სპორტულ გაზეთ "სარბიელის" გამომცემელიც ხართ და როცა ასეთ განცხადებას აკეთებდით, თქვენს გაზეთსაც გულისხმობდით?

- რა თქმა უნდა, ჩემს გაზეთსაც ვგულისხმობდი.

- მაინც რა არ მოგწონთ ქართულ სპორტულ მედიაში?

- იშვიათია თამაშის კვალიფიციური რეპორტაჟი, ძალიან ცოტაა სერიოზული, ანალიტიკური წერილები.

- როგორც საფეხბურთო კლუბის პრეზიდენტი, მასმედიას თქვენს სერიოზულ პარტნიორად არ მიიჩნევთ?

- ქართული მასმედია ქართულ ფეხბურთის ძალიან სუსტი პარტნიორია, თუმცა შესაძლოა, ისეც იყოს, რომ არც ქართული ფეხბურთი იყოს იდეალური პარტნიორი მასმედიისთვის.

- რატომ მიგაჩნიათ ქართული მასმედია ფეხბურთის სუსტ პარტნიორად?

- იმიტომ, რომ ის ვერ უწევს სათანადო პარტნიორობას ფეხბურთს. მიმაჩნია, რომ ქართულ ფეხბურთზე, მხოლოდ უარყოფითი პათოსით წერა არ შეიძლება. არ ვკამათობ იმაზე, რომ უარყოფით მოვლენებზე წერა გამოგონილია, მაგრამ როცა აქცენტი მეტწილად უარყოფითზე კეთდება, ეს უკვე პარტნიორობა აღარაა. თუ ქართულ ფეხბურთსა და მასმედიას შორის ნამდვილი პარტნიორობა შედგება, ამით დიდი რეზერვი ამუშავდება.

დავით თავართქილაძე

დევაძის დაბრუნება გადაიდო

აკაკი დევაძისთვის სეზონი უიღბლოდ დაიწყო. ზუგდიდის "მგლების" ვეტერანმა გოლკიპერმა ახალციხეში, ეროვნული ჩემპიონატის პირველი ტურის მატჩში, მძიმე ტრავმა მიიღო. ვარაუდობდნენ, რომ ხელის ძვლის შეხორცებას ოცი დღე ეყოფოდა, მაგრამ ჩანს, დევაძის სრულად გამოჯანმრთელებას გაცილებით დიდი დრო დასჭირდება. იგი კვლავ მკურნალობს და უახლოეს პერიოდში ვარჯიშს ვერ განაახლებს. სავარაუდოდ, მოედანს იგი მიმდინარე წლის ბოლოსკენ დაუბრუნდება. მის არყოფნაში, შეგახსენებთ, "მგლების" კარს არცთუ ურიგოდ იცავს **მანუჩარ ივარდავა**.

ზუგდიდელებს საკადრო პრობლემები შეტევის ხაზშიც შეექმნათ. **ზამირ ჯანაშია** და **გიორგი ჭედია** დაშავებულები არიან და ჩემპიონატის მორიგ ტურში, ცხინვალის "სპარტაკთან" ვერ ითამაშებენ.

ზესტაფონმა ლობჟანიძე გაიფორმა

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მცველი **უჩა ლობჟანიძე**, რომელიც ბოლო პერიოდში "ზესტაფონში" ისინჯებოდა, ფეროელთა კლუბის სრულუფლებიანი ფეხბურთელი გახდა. "ზესტაფონმა" 20 წლის უკანახაზელთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

შეგახსენებთ, აქამდე იგი თბილისი, "დინამოს" საკუთრება იყო, გასული სეზონი კი ლობჟანიძემ "ბათუმის" შემადგენლობაში გაატარა. "ზესტაფონის" დაცვის ხაზში მას სერიოზული კონკურენცია დახვდება, მაგრამ ძირითადში მოხვედრის ურიგო შანსი არ უნდა ჰქონდეს.

ლევან ჯანეზაშვილი

ნიკურაძის მოულოდნელი სვლა

გიორგი ნიკურაძემ წლეულს უკვე მეორე გუნდი გამოიცვალა. სეზონის დასაწყისში ფინეთის პირველლიგელ ტპ-47-ის წევრი გახდა, გუშინ კი ლიგის ლიდერ "როპსში" გადავიდა.

გიორგის გუშინვე დავუკავშირდით და ეს მოულოდნელ გადაწყვეტილება თავად გაგვიმხილა:

- დღეს, ჩემთვის მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა - როგორც იქნა, გუნდი გამოვიცვალე. უფრო ის მიხარია, რომ გაცილებით ძლიერ კლუბში აღმოვჩნდი.

- მოულოდნელი ტრანსფერია, ტპ-47-ში წლეულს არ ჩაირიცხე?

- ჩემი გუნდი უმაღლესში ვეღარ გადადის და რადგან სეზონის დაწყების შემდეგ ჩემზე მოთხოვნა იყო, ბოლოს და ბოლოს, გაცილებით უკეთეს და ამბიციურ გუნდში გამიშვეს. პრეზიდენტმა ახლა გამიმხილა, რომ შენზე ძალიან დიდი მოთხოვნა იყოო. დღეს ჩემი კლუბის უფროსობასთან მოლაპარაკება დავამთავრე და ყველაფერი კარგად დასრულდა.

- და სად გადახვედი?

- პირველ დივიზიონის ლიდერ "როპსში", რომელიც უმაღლესში გადადის. გუნდი პირველ ადგილზეა და სასწაული თუ შეაჩერებს. მართალია, "ბარსელონა" არაა, მაგრამ ამ წუთში ჩემთვის სავსებით მისაღები გუნდია. ყველა მეუბნება, რომ "როპსი" სერიოზული ორგანიზაციაა.

- ალბათ, გაუმჯობესებული პირობებიც შემოგთავაზეს.

- სასწაული ნაღდად არ შემოუთავაზებიათ, ოდნავ უკეთესი პირობებია, მაგრამ მე ამბიციურ გუნდში მოხვედრაც მაკმაყოფილებს.

- "როპსმა" გამოგისყიდა?

- არა, განათხოვრების ხელშეკრულება გაფორმდა. სეზონის ბოლომდე დავრჩები და მერე ვნახოთ. გაძლიერება უნდოდათ და ამიტომ აგიყვანესო, ასე მითხრა პრეზიდენტმა. როდესაც ლიდერი გუნდი ჩემით გაძლიერებას აპირებს, რა თქმა უნდა, ეს სასიხარულოა. იმითაც ბედნიერი ვარ, შრომა და კარგი თამაში რომ დამიფასდა. სხვა ბევრი გუნდიც დაინტერესდა და ეს ყურადღება მახარებს.

ისე, არც ვჩქარობ ახალი კონტრაქტის გაფორმებას, სეზონის დამთავრებას დაველოდები და მერე უნდა შევაფასო, რა მდგომარეობაში ვარ, როგორ დონეზე ვთამაშობ და ჩემი კარიერის ასაწყობად რა ნაბიჯი გადავდგა.

- და მაინც, "როპსი" ახალი სეზონიდან გამოგისყიდის?

- არა, ვერ გამომისყიდის. ჩემში გადასახდელ ფულს ვერ შეწვდებიან. ფინეთში ფეხბურთელების საკმაოდ დიდი დიდი არჩევანია და რატომ გადაიხდიან ჩემში დიდი საკომპენსაციო თანხას, როდესაც უფასოდ შეუძლიათ ნებისმიერ პოზიციაზე და ნებისმიერი ქვეყნიდან მოთამაშის ჩამოყვანა?

- აბა, იჯარაც არ უნდა აწყობდეთ.

- ეგ სხვა საქმეა. იჯარაში დიდ ფულს არ ხარჯავენ.

- ტპ 47-თან კონტრაქტი როდის გიმთავრდება?

- ოქტომბრის ბოლოს, მაგრამ ასე მარტივად თავისუფალი აგენტი ვერ გავხდები. კონტრაქტის თანახმად, უპირატესობა ჯერ ტპ 47-ს გააჩნია და მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლია სხვა გუნდს ჩემთან მოლაპარაკება.

- ახალ კლუბში ვარჯიშს როდის დაიწყებ?

- უკვე ხვალ მივდივარ. იქ უკვე ყველაფერი გამიმზადეს, მანქანა, ბინა, მოკლედ, ყველაფერი ორგანიზებულია.

- ეს ყველაფერი კარგი და აგვისტოში არც ერთი შეხვედრა არ ჩაგიტარებია. ახალ გუნდში რომ გადადიოდი, ტპ 47-ში მეორე მეკარეს პრაქტიკა მისცეს?

- ეს არაფერ შუაშია, უბრალოდ, ტრავმა მქონდა და ხუთი თამაში გამიცდა. თორემ სეზონი კარგად ამეწყო. "როპსი" და სხვა გუნდებიც ამიტომ დაინტერესდნენ.

- ახლა მომჯობინდი?

- უკვე კარგად ვარ, ფორმა სრულიად აღვიდგინე და ჩვეულებრივად ვვარჯიშობ.

- კიდევ რომელი გუნდები გიწვევდა?

- უმაღლესის რამდენიმე გუნდი, მაგრამ მათი უმრავლესობა აუტსაიდერი იყო, რომელთაც დიდი მიზნები არ გააჩნიათ. მარტო დასარჩენად მებრძოლ კლუბში გადასვლა კი არ მაწყობდა. ამას ისევ პირველი ლიგის ლიდერში გადასვლა მერჩივნა.

- ვიცით, რომ ფინეთში შენ და ლაშა ჩხაიძე თამაშობთ. კიდევ რომელიმე ქართველი არ აუყვანიათ?

- ჯერჯერობით, მარტო ჩვენ ვართ. სხვათაშორის, ლაშა ისე კარგად ათამაშდა, მალე ტპ-47 დაიბრუნებს.

მერაბ მამულაშვილი

www.kazbegi.com

გასხენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

საქართველოს ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა. თვის ნომინანტები

მწვრთნელი — ნესტორ მუმლაძე



საქართველოს ჩემპიონატი... ერთ წრედ რომ ტარდებოდეს, "ვიტ ჯორჯიას" პირველობას ვერავინ შეეცილებოდა! აბა, გაიხსენეთ, ბოლო წლებში როგორ ხდებოდა: "ვეტერინარები" პირველ წრეში არავის ინდობდნენ (განსაკუთრებით - ფავორიტებს), ცხრილის სათავეშიც მოკალათდებოდნენ, მაგრამ მეორე წრის დაწყებამდე გუნდს ერთდროულად რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი დატოვებდა და სეზონიც "ისე რა" შედეგით სრულდებოდა. "ვიტ ჯორჯიამ" წლევანდელი ჩემპიონატის წინაც განიცადა დანაკლისი და ალბათ, ამიტომაც იყო, სეზონის ფავორიტებში არავინ რომ თვლიდა. თუმცა პირველ ტურშივე დავრწმუნდით, რომ **ნესტორ მუმლაძის** გუნდს (გადახალისება-გაახალგაზრდავების მიუხედავად) ამბიციური მიზნები ექნება (იმედია, სეზონის ბოლომდე). გუნდი რომ წარმატებით თამაშობს, უპირველეს ყოვლისა, მწვრთნელის დამსახურებაა; ნესტორ მუმლაძეც "ვიტ ჯორჯიაში" მისვლის დღიდან ამტკიცებს, რომ თავის საქმე კარგად იცის. თანაც, ამას ყოველგვარი რეკლამისა და "ხმაურის" გარეშე აკეთებს. და მთავარიც: ათი წელიწადია, რაც "ვიტ ჯორჯია" არსებობს და, თუ არ ვცდებით, ნესტორ მუმლაძე პირველი მწვრთნელია, ვინც ამ გუნდში "გადაბმით" ორი სეზონი იმუშავა.

დაბოლოს, ვისურვებდით, რომ "ვიტ ჯორჯიას" სეზონი სტაბილურად ჩაეტარებინოს; თორემ, უკვე მიჩვეულები ვართ იმ მეტად უცნაურ ფაქტს, როცა "ვეტერინარები" ჩემპიონატის ყველა ლოკალურ ფავორიტს პირწმინდად ამარცხებენ და ამავდროულად თავისზე აშკარად სუსტ მეტოქეებთან ქულებს ანიავებენ...

ფეხბურთელები — ალექსანდრე კაიდარაშვილი, ლევან ყენია

წინა სეზონშიც გვქონდა ერთი შემთხვევა, როცა თვის საუკეთესო მოთამაშედ ერთდროულად ორი ფეხბურთელი ვცანით. აესა აგვისტოშიც: "მესხეთის" გამოცდილი ფორვარდი **ალექსანდრე კაიდარაშვილი** და "ლოკომოტივის" ჭაბუკი ნახევარმცველი **ლევან ყენია** ამ თვეში, მართლაც, გამორჩეულნი იყვნენ. ის, რომ უმაღლესი ლიგის დებიუტანტი - ახალციხის "მესხეთი" სამ ტურში ორი გამარჯვებით იწონებს თავს, კაიდარაშვილის ედიდესი დამსახურებაა. ამ ფეხბურთელზე სამშაბათსაც ვწერდით, როდესაც "ტურის რჩეულად" ვცანით. იმის აღნიშვნა კი არ მოგვწყიდება, თუ როგორი სილამაზის გოლი გაიტანა გორელმა ფორვარდმა "ლოკომოტივის" კარში. სხვათა შორის, იმ უხვგოლიან შეხვედრაში თითქმის ყველა გოლი ერთი-მეორეზე ლამაზი გამოდგა და ნიშანდობლივიან რომ მასპინძელთა ორივე წარმატების სულისჩამდგმელი ლევან ყენია იყო. "ლოკომოტივის" 17 წლის ლიდერმა ჯერ პირდაპირ კუთხურიდან(!) გაიტანა გოლი, მერე კი, სტუმართა საჯარიმოს მისადგომებთან, მოედნის სულ პატარა მონაკვეთზე ფინტების კორიანტელით ერთდროულად რამდენიმე მეტოქე გააბითურა და არანაკლები სილამაზის საგოლე პასიც მიაწოდა თანაგუნდელს. ყენია "ქართული ფეხბურთის მარგალიტად" შევრაცხეთ; მის ნიჭიერებაზეც უკვე იმდენი იწერება და ითქმის, რომ ხშირად უკვე ასეთი ფრაზაც გვესმის: "ლოკომოტივის" თამაშზე ყენიას სანახავად მოვედიო. ეს ბიჭიც თამაშობს, თანაც, ყველგან - დღეს "ლოკომოტივშია", ხვალ - 19-წლამდე ნაკრებში, ზეგ - 21-წლამდე ნაკრებში; არ გაგვიკვირდება, **კლაუს ტოპმიოლერმა** უახლოეს თამაშებში ეროვნულ ნაკრებშიც რომ გამოიძახოს! ნათქვამია, გამარჯვებულებს არ ასამართლებენო, მაგრამ დიდი ნიჭისა და ასაკით ძალიან პატარა ბიჭს, ლევან ყენიას, გვინდა, მცირე შენიშვნაც მივცეთ: როცა გულშემატკივარი სტადიონზე სპეციალურად შენს სანახავად მოდის, მოედანზე თავშეკავებული მოქცევაც გმართებს. თორემ, ყველა მატჩში რომ "წითელ-ყვითელ" ბარათებს მიიღებ, უკვე ის უდავო ნიჭიერებაც ფერმკრთალდება...



ალექსანდრე კაიდარაშვილი

ლევან ყენია

საუკეთესო გოლი — ალექსანდრე კაიდარაშვილი

"ლოკომოტივი"-"მესხეთის" შეხვედრაში **ალექსანდრე კაიდარაშვილმა** ანგარიში რომ გაათანაბრა, ეს გოლი აგვისტოში საუკეთესო იყო! სტუმართა ფორვარდი მეტოქის კარისკენ ზურგით იმყოფებოდა, როცა "ლოკომოტივის" მცველს ბურთი "აეჭრა"; კაიდარაშვილმაც, ეფექტური უკუდარტყმით ისეთი მოხდენილი "მაკრატელა" შეასრულა, მასპინძელთა ბევრისმნახველი მეკარე **დავით გვარამაძეც** უძლური რომ აღმოჩნდა.

აგვისტოს სიმბოლური ნაკრები

თვის მოვლენა



სულიკო დავითაშვილი

ზუგდიდში დიდი ფეხბურთი დაბრუნდა! ამაზე დიდი მოვლენა რა უნდა ყოფილიყო გასულ თვეში, მით უმეტეს, რომ უმაღლესი ლიგა ისედაც "დაობლებულია" ქუთაისის, ლანჩხუთის, ფოთისა და სამტრედიის გუნდების არყოფნით. და აი, ზუგდიდის გუნდი რვა წლის შესევნების შემდეგ კვლავ უძლიერესთა შორის არის და იმედი დავიტოვოთ, დიდხანს იქნება.

მთლად "თვის მოვლენა" არა, მაგრამ მაინც გამოსარჩევია კიდევ ერთი უცხოელი მწვრთნელის საქართველოში ჩამოსვლა. **ანატოლი პისკოვეცზე** მოგახსენებთ, რუსთავის "ოლიმპის" უკრაინელ მწვრთნელზე, რომლის ხელმძღვანელობითაც მოქმედმა ჩემპიონმა ზედიზედ ორი მატჩი მოიგო. პისკოვეცი რა დონის მწვრთნელია, სექტემბერი დაგვანახებს - მომდევნო თვეში "ოლიმპს" ხომ ორი ურთულესი გასვლა (მცხეთაში და ზესტაფონში) და ორიც არცთუ "სასიამოვნო" საშინაო მატჩი ("მესხეთთან" და "ლოკომოტივთან") ელოდება.

...და მაინც, თვის მოვლენად **სულიკო დავითაშვილის** საიუბილეო, მეასე გოლი იყო! ჰო, არ არის პატარა საქმე, ეროვნულ ჩემპიონატებში ას გოლს რომ გაიტან. სამწუხაროდ, "აბრეზას" მთლად მოსალოცადაც არა აქვს საქმე, რადგანაც მისი გუნდი ველარ ყოჩაღობს. მოულოდნელობა, სენსაცია, არ ვიცით რა დავარქვათ "ამერის" ასპარეზობას აგვისტოში, თუმცა ერთი კი ფაქტია - სამ შეხვედრაში ორ დამარცხებას ამ გუნდისგან არავინ ელოდა.

გვერდი მოამზადა გია ტუხაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ატლეტიკო. ტრანსფერები

რიკელმე ორი წლით

ტიაგო მოტაც ვისენტე კალდერონს მიუახლოვდა, როხიბლანკომ უკვე 77 მილიონი ევრო დახარჯა...

ხუან რომან რიკელმე

მადრიდის "ატლეტიკომ" ერთ-ერთი ყველაზე უფრო შთამბეჭდავი სატრანსფერო კამპანია ჩაატარა. "როხიბლანკომ" **კრისტიან აბიატი, ლუის გარსია, დიეგო ფორლანი, სიმაო საბროსა** და **ხოსე ანტონიო რეიესი** დაიმატა. დედაქალაქელები ამითაც არ დაკმაყოფილდნენ და გუშინ კიდევ ერთ ვარსკვლავს გაუფორმეს კონტრაქტი. გადაწყდა, რომ **ხუან რომან რიკელმეც** "ვისენტე კალდერონზე" ითამაშებს. "ვილიარეალთან" შეთანხმება მიღწეულია. ამ ინფორმაციას რადიოსადგური "კადენა სერი" ავრცელებს. რიკელმეს საკითხი დიდი ხნის განმავლობაში ჰაერში იყო გამოკიდებული. არგენტინელ ნახევარმცველს "ბოკა ხუნიორსთან" საიჯარო კონტრაქტი ამოეწურა და ესპანეთში მოუხდა დაბრუნება. "ვილიარეალის" თავკაცმა **მანუელ პელეგრინიმ** მასთან თანამშრომლობა არ ისურვა. ხუან რომანს ბაირესში გამგზავრებაც მწვრთნელთან კონფლიქტის გამო მოუხდა. ხანგრძლივი და მომქანცველი მოლაპარაკებების შემდეგ, "ყვითელმა სუბმარინებმა" სწორედ "როხიბლანკოსთან" გამონახეს საერთო ენა. "ბოკას" დიახაც სურდა საუკეთესო ნახევარმცველის შენარჩუნება, მაგრამ მის შესაძენად საჭირო სახსრები ვერ გამონახა. კიდევ ერთწლიან იჯარაზე კი "ვილიარეალისგან" უარი მიიღო.

"ატლეტიკოს" მიერ გადახდილი თანხის ოდენობა უცნობია. მიმომხილველთა ვარაუდით, ის 15 მილიონ ევროზე ბევრით ნაკლები არ იქნება. რიკელმე მადრიდელებთან ორწლიან კონტრაქტს გააფორმებს, რომელიც ნაყოფიერი თანამშრომლობის შემთხვევაში, კიდევ ერთი წლით გაგრძელდება. 29 წლის ფეხბურთელი კმაყოფილია. კმაყოფილია მისი ახალი კლუბის ხელმძღვანელობაც. **ფერნანდო ტორესის** გაყიდვის შემდეგ "ატლეტიკომ" შემადგენლობის გასაძლიერებლად უპრეცენდენტოდ დიდი თანხა დახარჯა. "როხიბლანკომ" საბანკო ანგარიში 77 მილიონი ევროთი შეითხელა. ესპანეთში ყველაზე მეტი ტრადიციულად მადრიდის "რეალმა" გაიმეტა. **რამონ კალდერონს** ცოტა დააკლდა და მისი წინამორბედის, **ფლორენტინო პერესის** რეკორდი არ დაამხო. 2001 წლის ზაფხულში სენიორ პერესმა 125 მილიონი ევრო დახარჯა. სენიორ კალდერონის საზაფხულო დანახარჯმა 121 მილიონი ევრო შეადგინა. ესპანეთის ორი ყველაზე ხელგაშლილი გუნდი ერთმანეთს პირველსავე ტურში, "სანტიაგო ბერნაბეუზე" შეხვდა. "რეალმა" 2:1 მოიგო.

დავუბრუნდეთ "ატლეტიკოს". მადრიდიდან მიღებული კიდევ ერთი ინფორმაცია გვარწმუნებს, რომ როხიბლანკო აღარ ხუმრობს. "ასის" მტკიცებით, **ტიაგო მოტაც** "ატლეტიკოს" მიუახლოვდა. მადრიდელები მას **პეტერ ლუქსენის** შემცვლელად მოიაზრებენ. ფრანგი ნახევარმცველის "ბირმინგემში" გადასვლა თითქმის გადაწყვეტილია. "როხიბლანკოს" ხელმძღვანელებმა მოტას ჩინებული კონტრაქტი შეთავაზეს. ბრაზილიელი შუახაზელი იმდენად მოიხიბლა, რომ "ინტერთან" მოლაპარაკებები შეწყვიტა და "ატლეტიკოში" გადაბარგება გადაწყვიტა.

ესპანური საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, მოტას "ვისენტე კალდერონზე" გადასვლა საათების საკითხია. "ბარსელონაში" **იაია ტურეს** მისვლის შემდეგ სამხრეთამერიკელმა **ფრანკ რიიკაარდის** ნდობა საბოლოოდ დაკარგა და დარწმუნდა, რომ კატალონიურ გრანდში მომავალი არ გააჩნია. მიმომხილველები დარწმუნებულები იყვნენ, რომ ტიაგო კარიერას "სან სიროზე" გააგრძელებდა. "ინტერის" პრეზიდენტსა" და ფეხბურთელს აბსოლუტურად ყველა დეტალი შეთანხმებული ჰქონდათ, მაგრამ "ატლეტიკომ" მზაკვრული ტაქტიკა აირჩია და სასურველ მოთამამაშეს "ვისენტე კალდერონზე" თამაშის სანაცვლოდ, იმაზე ნახევარი მილიონი ევროთი მეტი შეთავაზა, ვიდრე "ინტერი" იმეტებდა.

ისიც აღსანიშნავია, რომ "როსონერიმ" "ბარსელონის" დირექტორატიც ვერ მოხიბლა. **ჩიკი ბეგირისტაინს** ჩემპიონთა ლიგაში უშუალო კონკურენტის მიერ შეთავაზებული სატრანსფერო თანხა ეცოტავა. "ატლეტიკოს" შანსები სწორედ ამის შემდეგ გაიზარდა, თუმცა ერთი უცნაურობა მაინც არსებობს. მადრიდელებმა განაცხადეს, მოტას მხოლოდ იმ შემთხვევაში დავიმატებთ, თუ "ბარსა" ერთწლიანი იჯარით გამოუშვებსო. ეს კი ბრაზილიელის უფასოდ ხელში ჩაგდებას ნიშნავს. საქმე ის არის, რომ ტიაგო კატალონიურ გრანდთან კონტრაქტით 2008 წლის 30 ივნისამდეა დაკავშირებული. იმ შემთხვევაში, თუ მიმდინარე სეზონს ის "როხიბლანკოში" იჯარით გაატარებს, მომავალი წლის ზაფხულში "ბარსასგან" სამუდამოდ გათავისუფლდება და დედაქალაქურ კლუბთან მრავალწლიანი ხელშეკრულების გაფორმების საშუალება მიეცემა. რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, ბეგირისტაინმა ეს შეთავაზება გაგებით მიიღო და კოლეგებს სიტყვიერი თანხმობა შეუთვალა. ამის გათვალისწინებით უნდა ვივარაუდოთ, რომ ტიაგო მოტა უახლოეს საათებში მართლაც ატლეტიკოელი გახდება.

მანჩესტერ იუნაიტედი

ბერბატოვი ან ანელკა

სერ ალექსი იანვრამდე ველარ მოიცდის, სოლსკიაერის წასვლამ თავდამსხმელის ყიდვის აუცილებლობა წარმოშვა...

დიმიტარ ბერბატოვი

სერ ალექს ფერგიუსონი იანვრამდე მოცდას არ აპირებს. **ოლე გუნარ სოლსკიაერის** წასვლის შემდეგ, მან თავდამსხმელის შეძენა მოითხოვა. "მანჩესტერ იუნაიტედის" ემისრები 24-საათიან რეჟიმში მუშაობენ. სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე ერთი დღეღამე რჩება. მიმომხილველების ვარაუდით, არჩევანი ტოტენჰემელ **დიმიტარ ბერბატოვსა** და ბოლტონელ **ნიკოლა ანელკას** შორის გაკეთდება.

ბერბატოვმა გასული სეზონი 23 გოლით დაასრულა. ბრიტანული ტაბლოიდები იუწყებიან, რომ მასა და ლონდონელთა თავკაც **მარტინ იოლს** შორის უთანხმოებაა. იოლმა ვითომ ფეხბურთელის გაყიდვაც კი მოითხოვა. "ტოტენჰემმა" მწვრთნელის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა და მისი შემცვლელის ძებნა დაიწყო. ეს ისტორია გასულ კვირაში მხარეთა დაზავებით დასრულდა, მაგრამ თუ "იუნაიტედი" ბერბატოვში სოლიდურ თანხას გადაიხდის, "მამლები" იქნებ დათანხმდნენ კიდეც. რამდენიმე დღის წინათ ფორვარდმა თქვა, რომ "ტოტენჰემიდან" წასვლას არ აპირებს, მაგრამ ეს იყო იქამდე, სანამ "მანჩესტერი" მის შეძენას მოიწადინებდა. "იუნაიტედში" გადასვლა მაცდუნებელი პერსპექტივაა. "სანის" ცნობით, ეშმაკები მზად არიან, 22 მილიონი გირვანქა გადაიხადონ, ორჯერ მეტი, ვიდრე დიმიტარი "ტოტენჰემს" დაუჯდა. ერთი წლის წინათ ლონდონელებმა "ლევერკუზენს" 11 მილიონი გირვანქა მიუთვალეს. მათ დღეს, როგორც ამბობენ, 22 მილიონიც ეცოტავებათ და 40 მილიონს (!) ითხოვენ. "ტოტენჰემმა" ფეხბურთელს ხელფასიც კი გაუზარდა. ამიერიდან ბერბატოვი კვირაში 24 ათასი გირვანქის ნაცვლად, 30 ათასს მიიღებს. შედარებისთვის, "მენიუს" საუკეთესო ფეხბურთელებს ამაზე ორჯერ და სამჯერ მეტს უხდიან.

თუ კლუბები ფასზე ვერ შეთანხმდებიან, "მენიუ" ანელკას ტრანსფერზე გადაერთვება. ფრანგი ფორვარდი გაცილებით იაფი, 12 მილიონი გირვანქა ღირს. მას "მანჩესტერ სიტიც" ეპატიჟება. **სვენ გორან ერიქსონს** დაშავებული **ვალერი ბოჟინოვის** შემცვლელი სჭირდება. საკითხი უახლოეს საათებში უნდა გადაწყდეს. "იუნაიტედს" ბევრი ფიქრის დრო აღარ აქვს.

ბორუსია

ფრაი: ვერდერთან დაბრუნდები

შვეიცარიელის დაბრუნებას მთელი დორტმუნდი მოუთმენლად ელის...

ᲑᲝᲠᲣᲡᲘᲐ წარმოადგენს დორტმუნდის "ბორუსია" **ალექსანდერ ფრაის** გარეშე, ეს ბუნდესლიგის პირველ სამ ტურში ნათლად გამოჩნდა: ლიდერის გარეშე დარჩენილმა BVB-მ პირველი სამი მატჩიდან მხოლოდ 1 მოიგო, დანარჩენ ორში კი დამარცხდა. შვეიცარიელის არყოფნაში, გუნდის ლიდერობა ვერავინ იტვირთა და მთავარ მწვრთნელ **თომას დოლს** ერთი სული აქვს, როდის შეძლებს ფრაის გამოყენებას. ალექსის გამოჯანმრთელების საქმე კარგად მიდის. რაკი ფრაის პირველ სამ ტურში არ უთამაშია, ინტერვიუებზე უარს ამბობდა, სანამ არ ვთამაშობ, სჯობს, მოვკეტოო, მაგრამ "ბილდის" შემთხვევაში გამონაკლისი დაუშვა და ხსენებული გამოცემის კორესპონდენტს ბლიც-ინტერვიუზე დათანხმდა.

"მე-4 ტურში, "ჰანზასთან", თამაში შემიძლია, მაგრამ ექიმები უფლებას ჯერ არ მაძლევენ. რისკი უდიდესია და რომ ვითამაშო, შესაძლოა, კიდევ ერთი ექვსკვირიანი ტრავმა მივიღო, ეს კი არ მინდა. სამაგიეროდ, თითქმის გადაწყვეტილია, რომ 14 სექტემბერს, "ვერდერთან" აუცილებლად ვიასპარეზებ," - აცხადებს ფრაი, "ბორუსიის" წინა სამ მატჩს კი ასეთ ანალიზს უკეთებს: *"გელზენკირხენში წაგება მოსალოდნელი იყო, მიუხედავად იმისა, რომ "შალკესთან" მარცხი ნებისმიერი დორტმუნდელისთვის ძალიან მტკივნეულია. ყველაზე მეტად გული იმაზე მწყდება, რომ გუნდმა პირველ ტურში, "დუისბურგთან" ასე ჩაისვარა. სამაგიეროდ, ჩვენ "კოტბუსთან" დავამტკიცეთ, რომ "დუისბურგთან" მარცხი შემთხვევითობის ბრალი იყო. იმედი მაქვს, რომ ბიჭები როსტოკშიც მოიგებენ. ასეთ შემთხვევაში, პირველი ორი წაგება ყველას დააკვიწყდება."*

ფრაის თქმით, რეალურ მიზანზე საუბარი ჯერ ნაადრევია. მართალია, BVB-ს ხელმძღვანელებმა სეზონის წინ მიზნად მინიმუმ უეფას თასის საგზურის მოპოვება დაისახეს, მაგრამ შვეიცარიელი ფიქრობს, რომ ჯერ "ბორუსიის" რეალური ძალა უნდა გამოჩნდეს და ამა თუ იმ მიზანზე საუბარი მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი. *"პირადად მე მხოლოდ 25-ე ტურის შემდეგ მეცოდინება, რა შეუძლია ამ გუნდს. მანამდე, ყოველგვარი საუბრები მხოლოდ ვარაუდებია და მეტი არაფერი,"* - ამბობს ფრაი.

ბაიერნი

ზე რობერტო: რიბერი ახალი გარინჩაა

რიბერი, მხოლოდ რიბერი და არაფერი რიბერის გარდა! "ბაიერნში" რიბერომანია ჯერ კიდევ იმ დღეს დაიწყო, როცა ფრანგმა ნახევარმცველმა მიუნხენური კლუბის მაისურა პირველად მოირგო. იმის შესახებ, თუ როგორ უყვართ რიბერი მიუნხენში, უკვე არაერთხელ ვწერდით. სიახლე კი ის გახლავთ, რომ რეკორდმაისტერის ბრაზილიელმა ნახევარმცველმა **ზე რობერტომ**, ფრანგი ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო ბრაზილიელს, **გარინჩას** შეადარა.

ფრანკ რიბერი

მანოელ ფრანსისკო დოს სანტოსი (1933-1983), რომელმაც "ბოტაფოგოს" რიგებში 581 მატჩში 232 გოლის გატანა მოახერხა, ბრაზილიის ნაკრებში კი, 57 შეხვედრაში 15-ჯერ იხერა, 1958 და 1962 წლებში "სელესაოსთან" ერთად მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, საფეხბურთო სამყაროში გარინჩას სახელითაა ცნობილი.

ჰგავს თუ არა რიბერი დიდ ბრაზილიელს? ფაქტი ისაა, რომ ფრანკი მოწინააღმდეგეებს მოედანზე ზუსტად ისევე "დასცინის", როგორც გარინჩა "დასცინოდა", დრიბლინგისას ისევე მსუბუქია, როგორც ბრაზილიელი ლეგენდა. მაგალითად, ბუნდესლიგის მესამე ტურში, "ჰანოვერთან" (3:0 "ბაიერნის" სასარგებლოდ), რიბერი ბურთს 97-ჯერ შეეხო და მისი პასების 96-მა პროცენტმა ადრესატამდე უპრობლემოდ მიაღწია. *"ფეხბურთის თამაშის მისეული სტილი, მონდომება და ტემპერამენტი - ეს ყველაფერი მართლაც დიდ გარინჩას მაგონებს,"* - ამბობს ზე რობერტო.

მარკ ვან ბომელი: *"ფრანკი მოედანზე გამორჩეულია და არავინ იცის, რას მოიმოქმედებს. მისგან ყოველთვის ყველაფერს უნდა ველოდოთ. როცა "ბარსელონაში" ვთამაშობდი, რონალდინიო აღმაფრთოვანებდა, ახლა კი რიბერი. ფრანკს რონისგან ახლა მხოლოდ ტიტულების რაოდენობა განასხვავებს, მაგრამ რა პრობლემაა, ტიტულებს მოვიგებთ..."*

დაიერმა ფეხი მოიტეხა

"ᲕᲔᲡᲢ ᲰᲔᲛᲘᲡ" ახალწვეულ **კირონ დაიერს**, შეიძლება, ოთხი თვე გაუცდეს. ინგლისის ნაკრების ნახევარმცველმა ფეხი მოიტეხა. სამშაბათს "ჩაქუჩები" ლიგის თასზე "ბრისტოლ როვერსს" შეხვდნენ. ლონდონელებმა კრეიგ ბელამის დუბლით 2:1 მოიგეს, მაგრამ დაიერის მძიმე ტრავმამ გამარჯვებას გემო დაუკარგა. დაიერი "ვესტ ჰემის" შემადგენლობაში მატჩს ატარებდა. ის "ნიუკასლიდან" დიდი დავიდარაბის შემდეგ 6 მილიონ გირვანქად შეიძინეს. გასულ ოთხშაბათს დაიერმა გერმანელებთან ამხანაგურ შეხვედრაში 30 წუთი ითამაშა. მისი არყოფნა, "ვესტ ჰემის" გარდა, ნაკრებისთვისაც დიდი დანაკლისია.

დელ ორნო და ესკერო ბილბაოში ბრუნდებიან

"ᲑᲘᲚᲑᲐᲝᲡ" ხელმძღვანელობა იმ ორი ყოფილი ფეხბურთელის დაბრუნებაზე მუშაობს, რომლებმაც **ერნესტო ბალბერდეს** მუშაობის ხანაში ბასკურ კლუბთან ერთად სერიოზულ წარმატებებს მიაღწიეს. საქმე **ასიერ დელ ორნოსა** და **სანტი ესკეროს** ეხებათ. დელ ორნოს შემთხვევაში უფრო მარტივი სიტუაციაა შექმნილი. განაპირა მცველი მზადაა, მშობლიურ გუნდში ერთწლიანი საიჯარო კონტრაქტით გადაბარგდეს. "ვალენსია" თანახმაა, ფეხბურთელს ხელი შეუწყოს. რაც შეეხება ესკეროს, მის შემთხვევაში "ბარსა" საიჯარო ხელშეკრულების გაფორმებას გამორიცხავს. კატალონიელებს ფორვარდის გაყიდვა ურჩევნიათ. ესპანური გაზეთების ცნობით, მხარეები სამწლიან კონტრაქტზე მუშაობენ. მოსალოდნელია, რომ უახლოეს დღეებში ესკერო "ბილბაოს" სამი წლით დაუკავშირებს ბედს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. III საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები

დარჩა ერთი ვაკანსია... ალბათ, სევილია

გუძარესტში განტევების ვაცი იპოვნეს: ნასტასე, წაეთრიე!

ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის სამი მონანილე სამშაბათს გაირკვა. სენსაცია არ მომხდარა. "რეინჯერსმაც", "ლივერპულმაცა" და "ლაციომაც" ეს უფლება სტატუსითაც დაიმსახურეს და უშუალოდ თამაშითაც. სამშაბათსვე უნდა გარკვეულიყო კიდევ ერთი საგზურის მფლობელის ვინაობა, მაგრამ ანტონიო პუერტას დაღუპვის გამო, აეკისა და "სევილიის" საპასუხო მატჩი არ გამართულა. უეფამ შეხვედრის ჩატარება 3 სექტემბერს ბრძანა...



დინამო (ბ)-ლაციო. როკისა და ნასტასეს ორთაბრძოლა

სრ. ზვეზდა-რეინჯერსი 0:0 (0:1)

ცრვენა ზვეზდა: რანჯელოვიჩი, ანჯელკოვიჩი, ბასტა, გუეიე, ბურუანოვიჩი (71. ბარკოში), კასტილიო, კორომანი, ლუკაში, მილიაში (74. რაშკოვიჩი), ტუტორიჩი, ჯორჯევიჩი.

რეინჯერსი: მაკგრეგორი, კუელიარი, ჰატონი, პაპაჩი, უეირი, უიტეკერი (79. ბიზლი), ფერგიუსონი, ემდანი, მაკქალოხი, ტომსონი, დარშეევილი (70. კუზენი).

მაყურებელი: 47 012

ბალკანური გუნდები საკუთარ კედლებში ყოველთვის საშიშნი არიან. ალბათ, ამას ითვალისწინებდა "რეინჯერსის" მწვრთნელი **უოლტერ სმიტი**, რომელმაც არ გარისკა და გლაზგოური 1:0-ის შემდეგ, ბელგრადში მკვეთრად დაცვითი ტაქტიკა აირჩია. სკოტებმა შეგნებულად დაუთმეს მასპინძელს ინიციატივა, თავად კი საკუთარ საჯარიმოში ჩაიკეტნენ. თავისთავად, თამაშის ამგვარი სისტემაც საშიშია, მაგრამ ეტყობა, უარესებს შორის მაინც საუკეთესო გამოსავალია. სმიტმა უარჰყო ფეხბურთის დაუწერელი კანონი, რომელიც გვასწავლის, რომ საუკეთესო თავდაცვა შეტევაა. ამჯერად, მას გაუმართლა...

"ცრვენა ზვეზდა" თავიდანვე შეტევაზე გადავიდა. "რეინჯერსი" გოლს უკვე მე-2 წუთზე გადაურჩა. **კუელიარი** პოზიციის შერჩევისას შეცდა და **ბურუანოვიჩს** 8 მეტრიდან თავისუფლად დაარტყმევინა. ფორვარდი დაიბნა და ბურთი პირდაპირ მეკარე **მაკგრეგორს** ჩააბარა. შემდეგ, ეს უკანასკნელი კიდევ რამდენჯერმე ჩაერთო თამაშში. განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ეპიზოდი პირველი ტაიმის ბოლოს, როცა მან **ანჯელკოვიჩის** უმწვავესი შეტევა გააუვნებელჰყო.

და მაინც, კოლოსალური უპირატესობის მიუხედავად, სერბებს ბევრი მომენტი არ შეუქმნიათ. სმიტის გუნდი კარგად ირჯებოდა ნახევარდაცვაშიც, სადაც **მილოვან კოსანოვიჩის** შეგირდები ხშირად კარგავდნენ ბურთს. მეორე ტაიმში საგოლე მომენტი მომხვდურთაც ჰქონდათ. 57-ე წუთზე, ერთ-ერთი კონტრშეტევის დროს, ფრანგმა **დარშეევილმა** მეტოქის საჯარიმოში შეაღწია, მაგრამ შორეული კუთხისკენ დარტყმული ბურთი მიზანს მცირედით ასცდა. მერე, იყოჩაღა "ცრვენა ზვეზდას" მეკარე **რანჯელოვიჩმაც**, რომელმაც **მაკქალოხის** ურთულესი შორეული დარტყმა მოიგერია.

მატჩის მიწურულს სერბები გადამწყვეტ შტურმზე გადავიდნენ. სკოტებისთვის განსაკუთრებით მძიმე იყო ბოლო 7-8 წუთი, როცა სერბებმა მათ საჯარიმოს ალყა შემოარტყეს, მაგრამ... **ნოვოს** მიერ პირველ მატჩში გატანილი გოლი მაინც ვერ გაქვითეს. ისე, უცნაური კია, რომ ფეხბურთელმა, რომლის გოლითაც "რეინჯერსი" ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მერვედ მოხვდა, საერთო ჯამში მხოლოდ 25 წუთი დაპყო მოედანზე, გუშინწინდელ შეხვედრაში კი სმიტს ის არც კი გახსენებია...

დინამო (ბ)-ლაციო 1:3 (1:1)

დინამო: ლობონტი, ბლეი, ნასტასე, პულაკი, რადუ, კრისტეა, მარგარიტესკუ (59. ნიკულესკუ), როპოტანი, ბრატუ, დანჩულესკუ (71. მუნტეანუ), ოპრიცა (59. კიაჩუ).

ლაციო: ბალოტა, კრიბარი, სტენდარდო (35. სკალონი), ძაური, დე სილვესტრი, მანფრედინი, ლედესმა, მუდინგაი, დელ ნერო (86. ბელერი), პანდევი (90. ტარე), როკი.

გოლები: 1:0 ბრატუ (29), 1:1 როკი (47-პენ), 1:2 პანდევი (55), 1:3 როკი (67)

მაყურებელი: 48 000

რომაული 1:1-ის შემდეგ, საპასუხო მატჩს სერიოზული ინტრიგა ჰქონდა. "ლაციომ" ახალ სერია A-ში მხოლოდ ერთი მატჩი ჩაატარა და ბუნებრივია, ჯერ ვერ არის ფორმაში. ამ მხრივ, ბუქარესტის "დინამოს" გარკვეული უპირატესობა ჰქონდა. უპირატესობა იყო ადგილობრივი ექსპანსიური მაყურებელიც და ისიც, რომ პირველ მატჩში გაძევებული **ბეჰრამისა** და **მუტარელის** სახით, "ბიანკოჩელესტეს" ორი მნიშვნელოვანი ფიგურა აკლდა... მაგრამ საბოლოო ჯამში, გამოცდილებამ და კლასმა მაინც თავისი გაიტანა.

რუმინელთა მწვრთნელ **მირჩა რედნიკის** გადაწყვეტილება, თავიდანვე ორი საყრდენი ნახევარმცველით (**როპოტანი** და **მარგარიტესკუ**) ეთამაშა, გამართლებული იყო. შესატევი და გასატანი "ლაციოს" ჰქონდა, რადგან 0:0 მასპინძელს აძლევდა ხელს. თუმცა რედნიკისეულმა ტაქტიკამ მხოლოდ პირველ ტაიმში იმუშავა. მისი წყალობით, რომაელთა თავდასხმის ტრიო, **დელ ნეროს, პანდევისა** და **როკის** სახით, სრულიად მოწყდა დანარჩენ გუნდს და ბუნებრივია, არაეფექტურიც იყო. უპირატესობას კი "დინამო" ფლობდა და 29-ე წუთზე, ჯილდოდ გოლიც დაიმსახურა. **ბრატუ** მარჯვენა ფლანგიდან შეიჭრა საჯარიმოში და მახვილი კუთხიდან ბურთი დაბნეული **ბალოტას** კარში მოათავსა.

მეორე ნახევრის დაწყებიდანვე, ყველაფერი თავდაყირა დადგა. მასპინძელთა მცველმა **ნასტასე**, რომელიც ხუთწლიანი იტალიური კარიერის შემდეგ სამშობლოში ამ ზაფხულს დაბრუნდა, საკუთარ საჯარიმოსთან ახლოს შეცდა, ბურთი **დელ ნეროს** ჩააბარა და მერე კარისკენ გაჭრილი ფორვარდი საპენალტოდ წააქცია. არბიტრს 11-მეტრიანზე წამითაც არ უყოყმანია, **როკის** კი ფეხი არ აუკანკალდა - 1:1.

აქ, ცოტა ხნით შევწყვეტთ მატჩზე თხრობას და იმაზე გეტყვით, რაც თამაშის შემდეგ მოხდა. საფინალო სასტვენისთანავე, ბუქარესტელმა ქომაგმა ობსტრუქცია მოუწყო არა მთლიანად გუნდს, არამედ მცველ ნასტასეს, რომელიც იტალიელთა პირველ გოლში მთავარ დამნაშავედ სცნო. სტადიონი მის სახელს სკანდირებდა და კლუბის ხელმძღვანელობას მოუწოდებდა, ფეხბურთელი გუნდიდან გაეგდო. შესაძლოა, ბევრს ეჭვიც შეეპარა მის კეთილსინდისიერებაში და იტალიაში დიდხანს ნამსახურებ ფეხბურთელს, ვინძლო, იტალიურ გუნდთან "თამაშის ჩაშვებაშიც" დასდო ბრალი.

"მე არ ვიცი, რა არის შიში და მზად ვარ, დაუყოვნებლივ დავტოვო გუნდი, - თქვა ნასტასემ მატჩის შემდეგ, - იმისთვისაც მზად ვარ, რომ მძიმე შეცდომის გამო, პასუხისმგებლობა ვიტვირთო. მაგრამ არანორმალურია, როცა უნდათ, რომ წაგებისთვის ერთი ფეხბურთელი აგებდეს პასუხს. იმდენად განადგურებული ვარ, არც კი ვიცი, გავაგრძელებ თუ არა ფეხბურთის თამაშს".

ის ნაწყენია "დინამოს" მწვრთნელზეც, რომელმაც პრესკონფერენციაზე თქვა - ნასტასეს არასოდეს დავივიწყებო. ფაქტობრივად, ამ განცხადებით რედნიკმა 33 წლის მცველს კარისკენ მიუთითა...

...დავუბრუნდეთ თამაშს. როკის პენალტის შემდეგ, უკვე "დინამოს" მოუწია თამაშის გადაწყობა, მაგრამ ვიდრე გონს მოვიდოდა, "ლაციო" უკვე წინ იყო. კიდევ ერთი უხეში შეცდომა: ახლა მარგარიტესკუმ ჩააბარა ბურთი მეტოქეს, რომელმაც ელვისებური კონტრშეტევა განახორციელა და **პანდევმა** მეორე გოლიც შეაგდო. ის დრო იყო, **დელიო როსის** ბიჭებს უპირატესობა გაენავრცოთ და ყველა კითხვა მოეხსნათ დღის წესრიგიდან. ასეც მოხდა. ამჯერად, მასპინძელი მცველები ხელოვნური თამაშგარის შექმნისას შეცდნენ. აქ, როკი უმალ გაერკვა სიტუაციაში, მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა და ისიც მშრალზე დატოვა - 3:1.

ნამატჩევს, როსი აღფრთოვანებით საუბრობდა თავის შეგირდებზე: *"ბიჭებს მადლობა უნდა გადაეუხადო. ყველამ იცის, რომ ტრავმირებულ-დისკვალიფიცირებულთა სახით ბევრი პრობლემა გვქონდა, მაგრამ ამავე დროს, გვქონდა ხასიათის სიმტკიცეც და ამან დაგვაძლევინა კიდეც მეტად რთული ბარიერი. რას ვითხოვ გუნდისგან მომავალში? მეტ სიმშვიდეს. ტრიბუნებზე დიდი აჟიოტაჟი იყო და ამის გამო, პირველ ტაიმში ბიჭები ცოტას ნერვიულობდნენ. თუ ამ პრობლემასაც დავძლევთ, გაცილებით მეტს მივაღწევთ, სერია A-შიცა და ჩემპიონთა ლიგაშიც".*

ლივერპული-ტულუზი 4:0 (1:0)

ლივერპული: რეინა, აგერი (81. ფინენი), არბელოა, ჰიიპია, ბენაიუნი, ლეტო (75. ბაბელი), მასკერანო, რიისე, მოჰ. სისოკო (68. ლუკასი), კრაუჩი, კუიტი.

ტულუზი: დუშეზი, სეტო, ფოფანა, ილუნგა, მატიო (81. მუს. სისოკო), პაულო სეზარი, დიოზი, ემანა (76. ფაბინიო), ჟინიაკი (54. ბერგუნიო), სირიე, ელმანდერი.

გოლები: 1:0 კრაუჩი (19), 2:0 ჰიიპია (49), 3:0 კუიტი (87), 4:0 კუიტი (90)

მაყურებელი: 43 118

"ლივერპულმა" დიდი შრომის გარეშე მოიპოვა ადგილი ჩემპიონთა ლიგაში, სადაც ასეთი იოლი თამაშები, ალბათ, აღარ ექნება. 5:0 ორი მატჩის ჯამში, თან ფრანგულ კლუბთან დაპირისპირებაში, **რაფა ბენიტესს** უთუოდ უნდა აძლევდეს ოპტიმიზმის საბაბს, მით უფრო, რომ საპასუხო მატჩში მისმა გუნდმა საგრძნობლად სახეშეცვლილი შემადგენლობით ითამაშა. ახლა, ამ უმოტივაციო მატჩის პერიპეტიებზე აღარ შევჩერდებით და პირდაპირ ბენიტესის კომენტარს შემოგთავაზებთ:

"მთლიანად გუნდისა თუ ცალკეული მოთამაშეების მოქმედებით, ძალიან კმაყოფილი ვარ. როგორც ხედავთ, "ლივერპულის" ძირითად შემადგენლობაში მოხვედრაზე, ყველა რგოლში მძაფრი კონკურენციაა. მაგალითად, კრაუჩმა ბოლო ორი მატჩი გამოტოვა, მაგრამ დღეს თავის მეათე სალიგო მატჩში მერვე გოლი გაიტანა. თუ ის ასე გააგრძელებს, ბედნიერი ვიქნები. გაამართლეს იმედები ბენაიუნმაც, ლეტომაცა და ლუკასმაც. თუმცა ცოტა უკმაყოფილო ვარ პირველი ტაიმით, როცა ბურთს ხშირად ვკარგავდით და მეტოქეს კონტრთამაშის საშუალებას ვაძლევდით. ინტრიგის მოსაკლავად, აუცილებლად გვჭირდებოდა მეორე გოლი... ამის შემდეგ კი, თამაშისგან მხოლოდ სიამოვნებას ვიღებდით... ჯგუფურ ეტაპზე გასვლა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ახლა, მოუთმენლად ველი წილისყრას, რომლის შემდეგაც დაახლოებით გვეცოდინება, რამდენად შორს შევძლებთ წასვლას. ვხედავ, რომ დღევანდელი "ლივერპულისთვის" დაუძლეველი ბარიერები არ არსებობს. ჩვენ საკმარისად გავძლიერდით და დავბრძენდით".

ჯგუფი G

დინამო (კ)-სარაევო 3:0 (1:0)

დინამო: შოვკოვსკი, დიაკიტი, ელ ხადური, გავრანჩიჩი, მარკოვიჩი, მაიკლი (82. როტანი), კორეა (79. ბელკევიჩი), გიოანე, გუსევი, ბანგურა (83. რებროვი), შაკიხი.

სარაევო: ალაიმი (61. ფეჯიჩი), ბაბიჩი, ბაზიჩი, ჰაჯიჩი, მილოშევიჩი, შარაბა, ჯაკმიჩი, გრუჯიჩი, რეპუხი (46. იანოში), მეჟიჩი (68. ჰანჯიჩი), რაშიჩი.

გოლები: 1:0 ბანგურა (3), 1:1 ბანგურა (76), 3:0 რებროვი (90-პენ)

გაფრთხილება: 3-0

მაყურებელი: 15 000

შახტარი-ზალცბურგი 3:1 (0:1)

შახტარი: პიატოვი, ჩიგრინსკი, ილსინიო (72. დულიაი), კუჩერი, ლევანდოვსკი (57. კასტილიო), რაცი, ფერნანდინიო, ჟადსონი, სრნა, გლადკი (55. ბრანდაუ), ლუკარელი.

ზალცბურგი: ოხსი, კოვაჩი, მაიერი, მიამოტო, იბრაჰიმი, აუფჰაუზერი (89. ლოკვენცი), კარბონი, ლაიტგები, შტაინჰოფერი, ფონლანტენი, ციკლერი.

გოლები: 0:1 მაიერი (5), 1:1 ლუკარელი (9), 2:1 კასტილიო (78-პენ), 3:1 ბრანდაუ (86)

გაფრთხილება: 4-2

მაყურებელი: 35 000

ბეშიქთაში-ციურიხი 2:0 (1:1)

ბეშიქთაში: ჰაქანი, სერდარ ქურთულუში, იბრაჰიმ თორამანი, იბრაჰიმ უზუმეზი, გოქანი, სისე, დელგადო (75. ალი თანდოგანი), სერდარ ოზქანი, რიკარდინიო (77. იბრაჰიმ აქინი), ბობო, ტელო (90. ბათუჰან კარადენიზი).

ციურიხი: ლეონი, ბარმეტლერი, როშა, შნაიდერი (67. კოლარი), შტაჰელი (79. შონბახლერი), ტიჰინენი, აბდი, ჩიხაუი, ოკონკვო, ეუდისი (67. ჰასლი), არაუჟო.

გოლები: 1:0 დელგადო (57), 2:0 დელგადო (66)

გაფრთხილება: 4-0

მაყურებელი: 27 000

სტიაუა-ბაბე 2:0 (2:2)

სტიაუა: საპატა, გოიანი, მარინი, ნესუ, რადა, დიკა, ლოვინი (57. ბიჩფალვი), პეტრე, ნეაგა (69. კროიტორუ), ნიკოლიცა, ზაჰარია (53. ბადეა).

ბაბე: ფიოდოროვიჩი, ფილიპენკო, კაზანცევი, რადოვი, სახაროვი (55. ჟავნერჩიკი), ერმაკოვიჩი (77. რადევიჩი), ლიხტაროვიჩი, ჰ. პლატონოვი, სტასეიჩი (83. ვიშნიაკოვი), ბლიზნიუკი, დ. პლატონოვი.

გოლები: 1:0 ზაჰარია (12), 2:0 ნეაგა (54)

გაფრთხილება: 2-2

მაყურებელი: 25 000

ანდერლეხტი-ფენერბაჩე 0:2 (0:1)

ანდერლეხტი: ზიტკა, დეშახტი, იუჰაში, პარეია, ვან დამი (79. გოორი), ვასილევსკი (78. ლეგერი), ბილია, ბუსუფა (59. ტერო), ჰასანი, პოლაკი, ჩიტე.

ფენერბაჩე: ვოლქანი, დენიზ ბარიში, რობერტო კარლოსი, ლუგანო, ონდერი, ალექსი (78. სელჩუკი), მეჰმეთი, ედუ, თუმერი (66. კაზიმ-რიჩარდსი), დეივიდი (90. ვედერსონი), კეუმანი.

გოლები: 0:1 კეუმანი (3), 0:2 ალექსი (77)

გაფრთხილება: 1-3

მაყურებელი: 41 566

სლავია-აიაქსი 2:1 (1:0)

სლავია: ვინიაკი, ბრაბეცი, დრიუდალი, იანდა, კალივოდა, კრაიჩიკი, ჰმიცერი (14. ივანა), სუჩი, შვეცი, ტავარეში, ვლჩეკი.

აიაქსი: სტეკელენბურგი, კოლინი, ემანუელსონი (59. ვერტონგენი), ჰეიტინგა, სტამი, ვერმალენი, კენედი (65. რომედალი), გაბრი, დელორეი, ჰუნტელაარი, სუარესი.

გოლები: 1:0 ვლჩეკი (22), 1:1 სუარესი (33), 2:1 ვლჩეკი (86)

გაფრთხილება: 0-1

მაყურებელი: 17 000

დინამო (ზ)-ვერდერი 2:3 (1:2)

დინამო: კოხი, კარლოსი, დრპიჩი, ეტო (78. გუელა), ხორხე კამპოსი (75. მიკიჩი), მოდრიჩი, პოკრივაცი (61. ვუგრინეცი), შილდენფელდი, ვუკოევიჩი, ბალაბანი, მანჯუკიჩი.

ვერდერი: ვიზე, მერტეზაკერი, ნალდო, პასანენი, შულცი (81. ტოზიჩი), ბაუმანი, დიეგო, იანსენი, ვრანიესი, უგო ალმეიდა (68. ჰარნიკი), სანოგო (76. როზენბერგი).

გოლები: 0:1 დიეგო (13-პენ), 1:1 ვუკოიევიჩი (21), 1:2 სანოგო (38), 2:2 მოდრიჩი (41-პენ), 2:3 დიეგო (68-პენ)

გაფრთხილება: 4-2

მაყურებელი: 34 000

კოპენჰაგენი-ბენფიკა 0:1 (1:2)

კოპენჰაგენი: კრისტიანსენი, გრავგაარდი, ჰანგელანდი, იენსენი, ჰათჩინსონი, კვისტი, ნორეგაარდი, ზილბერბაუერი, ვიურეი (58. ზიონკო), ოლბაკი, ნორდსტრანდი (73. ალმეიდა).

ბენფიკა: კუიმი, ლეო, ფელიპე, ვიტორი, ნელსონი (46. ნუნუ ასისი), კაცურანისი, პეტიტი, რუი კოშტა, კარდოზო, დი მარია (73. რიბეირო), ნუნუ გომეში (90. ბერხესიო).

გოლი: 0:1 კაცურანისი (18)

გაფრთხილება: 1-3

მაყურებელი: 39 711

ელფსბორგი-ვალენსია 1:2 (0:3)

ელფსბორგი: ვილანდი, აუგუსტსონი, ბიორკეი, კარლსონი (74. ანდერსონი), მობეკი (19. მობეკი), ილოლა (64. მ. სვენსონი), ა. სვენსონი, ალექსანდერსონი, ავდიჩი, ბერგლუნდი, კინი.

ვალენსია: ჰილდებრანდი, ალბიოლი, კანერირა, ივან ელგერა, მარჩენა, მორეტი (85. ალექსისი), გავილანი, ხოაკინი, დავიდ სილვა (62. ვილია), სანი, მორიენტესი (57. არისმენდი).

გოლები: 0:1 ივან ელგერა (5), 1:1 ალექსანდერსონი (31), 1:2 ვილია (90)

გაფრთხილება: 1-2

მაყურებელი: 13 148

არსენალი-სპარტა 3:0 (2:0)

არსენალი: ალმუნია, კლიში, ჰოიტი, სენდეროსი, კოლო ტურე, ფილბერტო სილვა, დიაბი (68. ფაბრეგასი), როსიცკი (73. დენილსონი), ედუარდო სილვა, ვან პერსი (68. ადებაიორი), უოლკოტი.

სპარტა: პოშტულკა, აბრაჰამი, ჰუშეკი, კადლეცი, კლადრუბსკი (77. ლიმბერსკი), რეჟეპკა, ჰორვატი, ჰოსპეში, დოჟეკი, კულიჩი (46. ცოფჩაკი), რეჟეკი (73. კოლარი).

გოლები: 1:0 როსიცკი (7), 2:0 ფაბრეგასი (82), 3:0 ედუარდო სილვა (89)

გაფრთხილება: 1-3

მაყურებელი: 58 462

სელტიკი-სპარტაკი 1:1, პენ. 4:3 (1:1)

სელტიკი: ბორუცი, კოლდუელი, მაკმენუსი, ნეილორი (110. ო'დეი), უილსონი, ბრაუნი, დონატი, მაკგიდი (104. რიორდანი), ნაკამურა, მაკდონალდი (97. ფურავსკი), ვენეგორ ოფ ჰესელინკი.

სპარტაკი: პლეტიკოშა, შიშკინი, შტრანცლი, ბისტროვი (95. კალინიჩენკო), კოვაჩი, მოცარტი, სოავა, ტიტოვი, ტორბინსკი (100. ბოიარინცევი), პავლიუჩენკო, ველიტონი (88. დედურა).

გოლები: 1:0 მაკდონალდი (27), 1:1 პავლიუჩენკო (45)

გამოუყენებელი პენალტი: პავლიუჩენკო (26), ვენეგაორ ოფ ჰესელინკი (115)

გაფრთხილება: 1-1 (ძირითადი დრო)

გაძევება: შტრანცლი (85. სპარტაკი)

მაყურებელი: 65 000

რუსენბორგი-ზამპერე 2:0 (3:0)

რუსენბორგი: ჰირშფელდი, ბასმა, დორსინი, კოპინენი (46. სკილბრედი), რიზეტი, კონანი, საპარა (76. ივერსენი), სტრანდი (19. სტოორი), ტეტეი, ტრაორე, კონე.

ზამპერე: კავენი, იარვინენი (74. ნვოკე), ლინდსტრიომი, კუიალა, ნიემი, ოიანპერა, საარინენი (46. აპო), საგოლაინენი, ვისი, პეტრესეუ (86. ჰელმი), პოჰია.

გოლები: 1:0 საპარა (45), 2:0 კონანი (49)

გაფრთხილება: 0-2

მაყურებელი: 14 123

აეკ-სევილია *ვსეტემბერს*

ეროვნული ბიბლიოთეკა

სევილია. ანდალუსიური ტრაგედია

ანტონიო პუერტას მთელი ევროპა დასტირის

შესაძლოა, აეკთან შეხვედრის მსგავსად, მილანთან ევროპის სუპერთასის მატჩიც გადაიდოს

სევილია დიდი ტკივილით ცხოვრობს. ანტონიო პუერტას გარდაცვალებით გამოწვეული ნაღველი არ განელებულა. 22 წლის მცველის ტრაგედიამ "სევილიის" ხელმძღვანელობას ათენიდან ვადამდე გამომგზავრება გადააწყვეტინა. ანდალუსიელებმა უეფას საჩემპიონთალიგო განმეორებითი შეხვედრის გადადება სთხოვეს. ევროპული ფეხბურთის მამებმა თხოვნა შეისმინეს. გუნდი მთელი შემადგენლობით მშობლიურ ქალაქში გვიან ღამით, 2 საათზე დაბრუნდა. მოთამაშეები, ხელმძღვანელი პირები და მწვრთნელები უმალ "სანჩეს პისხუანისკენ" გაემართნენ. პუერტას ცხედარი სწორედ კლუბის სტადიონზეა დასვენებული.

22 წლის ახალგაზრდის ტრაგედიამ მართლაც მთელი მსოფლიო შეძრა. გლოვის ზარები არა მარტო სევილიელებმა, არამედ.ესპანეთისა და ევროპის უამრავმა კლუბმა შემოკრა. მათ შორის, "სევილიის" დაუძინებელმა მტერმა "ბეტისმაც". პრეზიდენტმა, **მანუელ რუის დე ლოპერამ** თანაქალაქელებს მიუსამძიმრა და განაცხადა, რომ "ბეტისის" უკლებლივ ყველა მოთამაშე, მწვრთნელი თუ გულშემატკივარი ამ მძიმე წუთებში "სევილიის" დიდ ოჯახს გულწრფელ თანადგომას უცხადებს.

არანაკლებ დამწუხრებულია მადრიდის "რეალიც". სამეფო კლუბის ხელმძღვანელობამ **სანტიაგო ბერნაბეუს** სახელობის თასის გათამაშება გადადო. მადრიდული გრანდის ლეგენდარული პრეზიდენტის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი, 1979 წლიდან მოყოლებული, პერმანენტულად ერთსა და იმავე დროს, აგვისტოს მიწურულს იმართებოდა. ეს კი პირველი შემთხვევაა, როცა ტურნირი გაურკვეველი დროით გადაიდო. არ გამორიცხავენ, გადატვირთული კალენდრის გამო მატჩი საერთოდ აღარ ჩატარდეს.

გლოვობს "ბარსელონაც". სამეფო კლუბისგან განსხვავებით, კატალონიელებმა **გამპერის** თასის მატჩი არ გადადეს. "ბარსამ" "ინტერს" უმასპინძლა, მაგრამ ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, თამაშის წინ ტრადიციული საზეიმო ცერემონიალები არ ჩატარდა. "კამპ ნოუზე" უჩვეულო სიჩუმემ დაისადგურა. გულშემატკივრებმა და ფეხბურთელებმა საბრალო ანტონიოს ხსოვნას წუთიერი დუმილით ხსოვნა მიაგეს.

გამორიცხული არ არის, "სევილიისა" და "მილანის" ევროპის სუპერთასის მატჩიც გადაიდოს, თუმცა ამ შემთხვევაში უეფა უფრო კატეგორიულია. უმაღლესმა ევროპულმა საფეხბურთო ორგანომ აეკ-თან საჩემპიონთალიგო პაექრობის გადადების მოთხოვნა უსიტყვოდ დააკმაყოფილა, მაგრამ ევროპის სუპერთასის ორთაბრძოლას ისინი უფრო დიდი ყურადღებითა და მონინებით ეპყრობიან. საქმეში უკეთ გარკვევის მიზნით, **მიშელ პლატინის** ერთ-ერთი მრჩევლის **ვილიამ ჟილარდის** განცხადებას გაგაცნობთ: *"სევილიის" მესვეურებს ვესაუბრეთ. უეფას არ სურს, რომ სუპერთასის თამაში გადადოს. კარგად გვესმის, ძალიან რთული დღეებია, მაგრამ ანდალუსიელ ბიჭებს საშუალება აქვთ, ძალ-ღონე მოიკრიბონ და საუკეთესო მეგობრის ხსოვნის უკვდავსაყოფად "მილანთან" მატჩში მთელი მონდომებით იასპარეზონ. გამარჯვება სიმბოლურ დატვირთვას შეიძენს. ბუნებრივია, იმ შემთხვევაში, თუ ესპანელები გვეტყვიან, რომ თამაშის განწყობა არ გააჩნიათ, იძულებულები გავხდებით, ფინალი გადავდოთ. იმედია, საქმე აქამდე არ მივა და "სევილია" ძალებს გამონახავს."*

გუშინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, **ხოსე მარია დელ ნიდო** "მილანის" მმართველს, **ადრიანო გალიანის** დაუკავშირდა და ჰკითხა, ფინალის გადადებაზე რა აზრისაა. იტალიური გრანდის თავკაცმა კოლეგას მოახსენა, რომ ისე მოიქცევა, როგორც თავად დელ ნიდოს სურს. ექსპერტების ვარაუდით, ეს სატელეფონო საუბარი იმის მომასწავებელია, რომ თამაში დათქმულ დროს არ გაიმართება.

"სევილიის" ტკივილი ესპანეთის მთავრობასა და მთავარ ოპოზიციურ პარტიაშიც გულთან ახლოს მიიტანეს. ქვეყნის პრემიერ მინისტრმა, **ხოსე ლუის როდრიგეს საპატერომ** პუერტას ოჯახს სამძიმარი გამოუცხადა. მთავრობის უმაღლესმა ხელისუფალმა ანტონიოს დიდი ეპოქის უდიდესი ფეხბურთელი უწოდა. ოპოზიციური პარტიის, "პარტიდო პოპულარის" პრეზიდენტმა, **მარიანო რახოომ** კი სევილიელის სიკვდილი საერთო ნაციონალურ ტრაგედიად შერაცხა...

ერთი შეხედვით სრულიად უსაფრთხო ფეხბურთი, სულაც არ არის ისეთი უსაფრთხო, როგორც წარმოგვიდგენია. პუერტა პირველი არ არის, რომელიც პროფესიული მოვალეობების შესრულებას შეეწირა. 2005 წელს "უნიაო ლეირიას" ნახევარმცველი, 28 წლის **უგო კუნია** მატჩის მსვლელობისას გულის შეტევის გამო გაითიშა და რამდენიმე წუთში გარდაიცვალა. 2004 წლის იანვარში 24 წლის უნგრელი **მიკლოშ ფეჰერი** "ბენფიკისა" და "ვიტორია გიმარაეშის" პაექრობის მსვლელობისას ასევე გულის შეტევამ შეიწირა. კოლაფსამდე წამებით ადრე, საბრალო უნგრელი ილიმოდა და მსაჯს ეხუმრებოდა. იმავე წლის ოქტომბერში კარდიო-რესპირატორული პრობლემების გამო, "სან კაეტანოს" მცველი **სერჟიონნიო** გარდაიცვალა. 2003 წლის კონფედერაციათა თასის გათამაშება **მარკ ვივიენ ფოეს** ტრაგიკულმა გარდაცვალებამ გააფერმკრთალა. კამერუნის ნაკრების ნახევარმცველი კოლუმბიის ეროვნულ გუნდთან შეხვედრის 79-ე წუთზე შეუძლოდ გახდა. ფოეც წაიქცა და წამებში სული განუტევა. ექიმებმა მოგვიანებით დაადგინეს, რომ სხვების მსგავსად აფრიკელსაც გულმა უმტყუნა. უბედურების გარეშე 2002 წელსაც არ ჩაუვლია. ბრაზილიელი ფორვარდი **მარსიო დუშ სანტუში** პერუს "დეპორტივო ვანკას" კარში გოლის გატანიდან რამდენიმე საათში ინფარქტით დაილუპა. გასულ საუკუნეში, 1990 წლის სექტემბერში "იორკ სიტის" ფორვარდი, **დეივ ლონგჰორსტი** შესვენებამდე ორი წუთით ადრე მოწინააღმდეგის საჯარიმოში წაიქცა. ექიმებმა გაჩერებული გულის ამოქმედება ვერ შეძლეს და თავდამსხმელი გარდაიცვალა. ერთი წლით ადრე ტრაგედია ნიგერიელ **სამუელ ოკვარაჯისაც** შეემთხვა. ის ანგოლასთან მუნდიალის საკვალიფიკაციო მატჩის მე-80 წუთზე მოკვდა.

ილია ნიკოლაიშვილი

ინტერვიუ ტიერი ანრისთან

ვისაც ოთხი მუშკეტერის ხილვა სურს, კინოში წავიდეს

ფრანგი ფორვარდი გულშემატკივრებს პირობას აძლევს, რომ ბარსა უახლოეს დღეებში სულ სხვაგვარად ათამაშდება

ორი მუშკეტერი, ანრი და ეტოო

გასულ კვირას "ბარსელონის" ახალწვეულმა, გენიალურმა ტიერი ანრიმ კატალონიური გრანდის მაისურით სადებიუტო პრიმერადივიზიონური ორთაბრძოლა ჩაატარა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ფრანგი სუპერ-ფორვარდის პირველი შეხვედრა ძალიან უიღბლო და წარუმატებელი გამოდგა. სპეციალისტებმა "ბარსას" მიერ "რასინგთან" ორი ქულის დაკარგვა მეტისმეტად კრიტიკულად შეაფასეს. ანრის, მხოლოდ და მხოლოდ, ნახევარი საათი მიეცა იმისთვის, რომ შესაძლებლობები გამოემჟღავნებინა. დაგვეთანხმებით, ძალიან ცოტა დროა, მაგრამ ტიერიმ მაინც მოახერხა რამდენიმე მწვავე შეტევის ორგანიზება. ერთ-ერთი იერიშისას მას იღბალმა და მიზანმა ოდნავ უმტყუნა. ფრანგის მიერ დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა. აქტიურობისა და დიდი მონდომების მიუხედავად, ანრის სერიოზული კრიტიკა დაატყდა თავს. ყველაზე მეტად კი მასმედიელებმა ფრანკ რიიკაარდს შეუტიეს. "ბარსას" ახალი ვარსკვლავი საზოგადოების თავდასხმებს გაუგებრად მიიჩნევს. მისი თქმით, ვისაც "ოთხი მუშკეტერის" ერთდროულად საქმეში ნახვა სურს, კინოს უნდა მიაშუროს. მისახვედრია, რომ "ოთხ მუშკეტერში" თავად ანრი, რონალდინიო, ეტოო და მესი იგულისხმებიან. "რასინგთან" მატჩში რიიკაარდმა ვერ გარისკა და ტიერი სათადარიგოთა სკამზე დასვა. ჟურნალისტების ერთი ნაწილი ჰოლანდიელს სწორედ ამ სიფრთხილის გამო აკრიტიკებდა.

- სანტანდერში "რასინგის" წინააღმდეგ ჩატარებულმა მატჩმა როგორი შთაბეჭდილება შეგიქმნათ?

- მასპინძლებმა შესანიშნავად ითამაშეს. მათ სერიოზული წინააღმდეგობა გაგვიწიეს. სანახაობრივი თვალსაზრისით, ისინი დიდად ვერ გამოირჩეოდნენ. ვფიქრობ, არც არის გასაკვირი. სანტანდერელები აცნობერებდნენ, რომ უძლიერესი მეტოქე ჰყავდათ და თამაში ჩაკეტეს. ისინი ძირითადად საკუთარ მოედანზე მოქმედებდნენ და თავისუფლად გადაადგილების საშუალებას გვიზღუდავდნენ. ბუნებრივია, "ბარსელონის" ერთადერთი ამოცანა გამარჯვება გახლდათ, მაგრამ დასახულ მიზანს ვერ მივაღწიეთ. ცხადია, ძალიან უკმაყოფილები დავრჩით, თუმცა ეს უკვე წარსულია და უმჯობესი იქნება, თუ სანტანდერულ შეხვედრას უმოკლეს დროში დავივიწყებთ.

- გეთანხმებით, წარუმატებლობაზე დიდხანს ფიქრი და ტანჯვა სიკეთეს არ მოგიტანთ, მაგრამ ასე მალე ნუ დაივიწყებთ, რომ გულშემატკივრები სასტიკად იმედგაცრუებულები დარჩნენ...

- სულაც არ მიკვირს. ანგარიშის გათვალისწინებით, გულშემატკივრების იმედგაცრუება სრულიად ნორმალური მოვლენაა. უნდა მოგახსენოთ, რომ უშუალოდ გუნდის ყველა წევრიც იმედგაცრუებული და სასონარკვეთილი დარჩა. დარწმუნებულები გახლდით, რომ გავიმარჯვებდით, თუმცა არ გაგვიმართლა და შინ ხელმოცარულები დავბრუნდით. ამ ეტაპზე მხოლოდ ერთის თქმა შემიძლია: გულშემატკივრებმა მოთმინება უნდა მოიკრიბონ და დიდ გამარჯვებას უნდა დაელოდონ. მერწმუნეთ, ეს დღე ძალიან მალე დადგება. მომდევნო ტურში "ბარსა" სულ სხვაგვარად ითამაშებს. სეზონი ჯერ, პრაქტიკულად, არ დაწყებულა.

- როგორ გგონიათ, რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ "ბარსელონამ" თამაშის დალაგება შეძლოს?

- ამ კითხვით მთავარ მწვრთნელს უნდა მიმართოთ. ფრანკ რიიკაარდი ერთადერთი კაცია, რომელმაც ტაქტიკასა და სათამაშო სქემაში არსებული პრობლემების მოგვარებაზე უნდა იზრუნოს. ფეხბურთელები მზად ვართ, ყველაფერი გავაკეთოთ იმისთვის, რომ დამრიგებლის მითითებები უსიტყვოდ და ზედმიწევნით ზუსტად შევასრულოთ.

- "რასინგთან" მატჩში სათადარიგოთა სკამზე აღმოჩნდით. რიიკაარდის გადაწყვეტილებით გაოცებული დარჩით?

- აღმოვაჩინე, რომ "რასინგის" სტადიონზე სათადარიგოებისთვის ძალიან კომფორტული სკამები აქვთ დამზადებული. ალბათ, ეს იმისთვის ხდება, რომ ფეხბურთელებს პროტესტის გრძნობა არ გაუჩნდეთ (იცინის). მოგეხსენებათ, სათადარიგოთა შორის ყოფნას მიჩვეული არ ვარ, თუმცა თავს უფლებას მივცემ შეგახსენოთ, რომ საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ვერც ვვარჯიშობდი და შესაბამისად, თამაშსაც ვერ ვახერხებდი. ახლა ვალდებული ვარ, ჩვეული კონდიციები დავიბრუნო. საამისოდ, თავდაუზოგავად ვშრომობ. მჯერა, უახლოეს მომავალში ფორმაში ჩავდგები და ძირითადში მოხვედრის შანსიც მომეცემა. ისე კი, ვინ ითამაშებს და ვინ არა, მწვრთნელის გადასაწყვეტია. ვერავინ გაიხსენებს თუნდაც ერთ შემთხვევას, როცა არაპროფესიული ქმედებითა და აყაღ-მაყალით რომელიმე ჩემი გუნდისთვის პრობლემა შემიქმნია.

- საუკეთესო კონდიციებს როდის მიაღწევთ?

- ფიზიკური თვალსაზრისით, თითქმის 100 პროცენტით ვარ მზად. ახლა უფრო მეტი ყურადღება ტექნიკურ მხარეს უნდა დავუთმო. აშკარაა, რომ ამ თვალსაზრისით გარკვეულ პრობლემებს განვიცდი. დასახვეწია შორეული დარტყმებიც. მოკლედ, სამუშაო ჯერაც საკმაოდ ბევრია. ვფიქრობ, 3-4 კვირა მჭირდება იმისთვის, რომ ჩვეული ფორმა დავიბრუნო.

- "ბარსელონაში" რაიმე ფანტასტიკური ხომ არ აღმოგიჩენიათ?

- თავად "ბარსელონაა" ფანტასტიკური გუნდი.

- ვგულისხმობდი, "რასინგთან" მატჩში "ბარსას" თამაშში ხომ არ აღმოგიჩენიათ რაიმე ფანტასტიკური-მეთქი.

- ამ შემთხვევაში, ფანტასტიკური ძალიან მსუყე სიტყვაა. საქმე მხოლოდ ერთ შეხვედრას შეეხებოდა, შეხვედრას, რომლის მოგებაც გვსურდა, მაგრამ ვერ მოვიგეთ. მთავარია, უმოკლეს დროში საკუთარი შესაძლებლობების სრულად გამომჟღავნება შევძლოთ. თუ ამას მოვახერხებთ, გარწმუნებთ, "ბარსელონაზე" ყველა ისე ისაუბრებს, როგორც ფანტასტიკურ კლუბზე. ზოგადად კი საჭიროდ არ მიმაჩნია, ფეხბურთელები ისეთი სიტყვებით შევამკოთ, როგორებიცაა გმირი ან ფანტასტიკური.

- მოდით, ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ საკითხს შევეხოთ. საზოგადოების დიდი ნაწილი მოელოდა, რომ ფრანკ რიიკაარდი ძირითად შემადგენლობაში "ოთხ მუშკეტერს" დააყენებდა...

- (იცინის) თუ ვინმეს, "ოთხი მუშკეტერის" ხილვა სურს, ვურჩევ, კინოში წავიდეს. ვიმეორებ, ძირითადი შემადგენლობის დაკომპლექტება, მხოლოდ და მხოლოდ, რიიკაარდის საქმეა. ვალდებულები ვართ, მწვრთნელის გადაწყვეტილებებს პატივი მივაგოთ.

- "კამპ ნოუზე" პირველი მატჩის ჩატარებამდე რამდენიმე საათით ადრე როგორი გრძნობები გეუფლებათ?

- უკვე ვიცი, რომ "გამპერის" თასს კატალონიელები ყოველთვის დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან. ვფიქრობ, გამონაკლისი წლევანდელი შეხვედრაც არ იქნება. "ბარსელონის" მაისურით "კამპ ნოუზე" თამაში დიდი სიამოვნება უნდა იყოს. ერთი სული მაქვს, გულშემატკივრებს როდის შევხვდები.

- ისეთივე თბილ შეხვედრას ელით, როგორიც პრეზენტაციის დღეს გქონდათ?

- დიდი იმედი მაქვს, რომ სანტანდერში განცდილი წარუმატებლობის მიუხედავად, გულშემატკივრები მთელ გუნდს თბილად მიიღებენ და თანაგრძნობას გამოუცხადებენ. ყველა წარმატებას ერთად უნდა მივაღწიოთ. მსმენია, კატალონიელები ძალიან მომთხოვნები არიანო. ეს ძალიან კარგია. ქომაგები საშუალებას არ მოგვცემენ, რომ მოვდუნდეთ. მომავალს იმედის თვალით ვუყურებ. მალე "ბარსა" მთელი ძალით ათამაშდება.

ილია ნიკოლაიშვილი

ინტერვიუ კიკე სანჩეს ფლორესთან

მაგალითი ავიღოთ არსენალისგან...

ღამურების დამრიგებელმა საჩემპიონო ამბიციები გამოააშკარავა, მაგრამ პირველივე მატჩი დიდი ანგარიშით წააგო...

კიკე სანჩეს ფლორესმა "ვალენსიაში" მესამე სეზონი დაიწყო. გასულ სეზონში ბევრს საუბრობდნენ იმის შესახებ, რომ პრეზიდენტი ხუან ბაუტისტა სოლერი მწვრთნელს კარისკენ მიუთითებდა. პროგნოზების საწინააღმდეგოდ, ფლორესმა პოსტი შეინარჩუნა. პრეზიდენტმა ის კი არა, მწვრთნელთან სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაპირისპირებული გენერალური დირექტორი ამადეო კარბონი დაითხოვა. კიკე ფლორესი ახალ სეზონს უდიდესი ოპტიმიზმით შეხვდა, მაგრამ პირველსავე მატჩში ფიასკო იწვნია. მისმა გუნდმა "მესტალიაზე" "ვილიარეალთან" 0:3 წააგო და ინჩასების რისხვა დაიმსახურა. ვალენსიელებს საქმე თავიდანვე ცუდად წაუვიდათ. არბიტრმა პერეს ლასამ დავიდ ვილიას პირველსავე ტაიმში ორი ყვითელი ბარათი უჩვენა და გასახდელის გზას გაუყენა. შეტევაში "ღამურების" ეფექტურობა მთლიანად ამ ფეხბურთელზეა დამოკიდებული. მისი გასვლის შემდეგ "ვალენსია" უსახური გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებდა. არბიტრი ამითაც არ დაკმაყოფილდა და წითელი ბარათი აუფრიალა მასპინძლების კიდევ ერთ ლიდერს, ხოაკინს. თამაშის შემდეგ "მესტალიის" ტრიბუნები გამაყრუებლად უსტვენდნენ. კიდევ ერთი ასეთი მატჩი და ფლორესის ავტორიტეტისგან აღარაფერი დარჩება. მას ვილიარეალთან ნამატჩევს ათასგზის მოხდილი ბოდიშიც კი ვეღარ უშველის. ინტერვიუ, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ, "დიარიო ასმა" "ვილიარეალის" ავადსახსენებულ სტუმრობამდე ერთი დღით ადრე ჩაწერა. ვალენსიელთა დამრიგებელი ზოგად თემებზე საუბრობს და ოცნებობს, ღამურებისთვის ისეთივე მნიშვნელობა შეიძინოს, როგორიც არსენ ვენგერს "არსენალისთვის" აქვს. მიაღწევს თუ არა მწვრთნელი მიზანს, ამას დრო გვიჩვენებს. იქამდე კი ინტერვიუს გავეცნოთ.

- აშკარად შესამჩნევია, რომ ფეხბურთელების მიმართ არნახულად მომთხოვნი გახდით. საინტერესოა, რატომ ახლა და არა მანამდე?

- იმიტომ, რომ "ვალენსიაში" მესამე სეზონი უნდა ჩავატარო. ახლა ჩემთვის უცნობი არაფერია. ყველაფრის საქმის კურსში ვარ და ზედმიწევნით კარგად ვიცი, ამ შემადგენლობას რისი უნარიც შესწევს. საკითხი ჩემს პირად ამბიციას შეეხება. მიმაჩნია, რომ მაქსიმალური ამოცანებისთვის ბრძოლა შეგვიძლია. მთავარია, ოპტიმისტური განწყობა შეგირდებს გადავდო. მჯერა, ასეც იქნება.

- "ვალენსიასთან" გაფორმებული კონტრაქტი 2008 წლის 30 ივნისს ამოგეწურებათ. წელიწადი დაგრჩათ იმისთვის, რომ საკუთარი შესაძლებლობები მთელ ქვეყანას დაუმტკიცოთ. საინტერესოა, ეს გარემოება წნეხში ხომ არ გაქცევთ?

- თამამად შემიძლია მოგახსენოთ, რომ ახლა ისეთი მშვიდი ვარ, როგორიც არასოდეს. ძალიან მინდა, უკეთესი მომავალი გავინაღდო. ამჯერად სპეკულაციებისა და ინტრიგებისთვის დრო აღარავის დარჩება. მთელი ძალისხმევა კონკრეტული მატჩების მოგებისკენ უნდა მივმართოთ.

- კლუბის ხელმძღვანელებს კონტრაქტის გახანგრძლივებაზე რაიმე ხომ არ უთქვამთ?

- არა, საჩქარო არაფერია. პრეზიდენტმა შესანიშნავად იცის, რომ სულით ხორცამდე ვალენსიელი ვარ. პრიმერა დივიზიონში თუ გავიმარჯვებთ, სიამოვნებით დავრჩები. უდავოა, სეზონი უმძიმესი და ურთულესი იქნება. ახლა გამარჯვებასა და დამარცხებას გაცილებით მეტი ფასი და მნიშვნელობა აქვს. მთელი ჩემი ცხოვრება ამ გუნდს უკავშირდება. "ვალენსიის" მომავალს ძალიან ნათელ ფერებში ვხედავ. მალე ახალი სტადიონი აშენდება. თაობათა ცვლის პროცესიც დასრულდება. არაერთი ნიჭიერი ახალგაზრდა მოვიზიდეთ. მიმაჩნია, რომ მაგალითი "არსენალისგან" უნდა ავიღოთ. ეს გუნდი ეკონომიკური შესაძლებლობებით "ჩელსის", "მანჩესტერსა" და "ლივერპულს" მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება, მაგრამ ყოველთვის კონკურენტუნარიანია. ეს იმიტომ ხდება, რომ "არსენალს" საკუთარი ღირებულებები და იდეები გააჩნია. ბუნებრივია, "მეთოფეებს" ვერავინ მოსთხოვს, რომ მათ სისტემატიურად გაიმარჯვონ პრემიერლიგაში. დიდი საქმე იქნება, თუ შიგა და შიგ მულტიმილიარდერ კლუბებს კონკურენციას გაუწევენ და ტიტულს წაართმევენ. "ვალენსიაც" ზუსტად ამ მდგომარეობაშია. ფინანსური თვალსაზრისით, "რეალსა" და "ბარსელონას" ვერც კი შევედრებით, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩემპიონობის შანსი არ გვაქვს. უბრალოდ, ვალდებულები ვართ, პრიმერა დივიზიონში გასამარჯვებლად ვიბრძოლოთ. არსენ ვენგერის კვალიფიკაცია ეჭვქვეშ არასოდეს დამდგარა. მსურს, ისეთივე მნიშვნელოვანი ფიგურა გავხდე "ვალენსიისთვის", როგორიც ვენგერია "არსენალისთვის". ფრანგი სპეციალისტის მთავარი ღირსება ის არის, რომ ის არასოდეს კმაყოფილდება ერთი კონკრეტული სეზონით და მასთან დაკავშირებული გეგმებითა თუ ამოცანებით.

- გამოდის, ბენისტესსა და კაპელოზე მეტად, ვენგერის სტილი მოგწონთ...

- უდავოდ. მიმაჩნია, რომ ბენიტესი და კაპელო, მხოლოდ და მხოლოდ, დღევანდელი დღით ცხოვრობენ. სენიორ არსენი კი უფრო შორსმხედველია.

- ახალგაზრდებზე ხშირად და დიდი ენთუზიაზმით საუბრობთ, მაგრამ არ უნდა დაგავიწყდეთ, რომ კლუბის წარმატებული ცხოვრებისთვის ფეხბურთელების გაყიდვაც არანაკლებ მნიშვნელოვანია...

- სანამ რომელიმე მოთამაშის გაყიდვას გადაწყვეტ, დაახლოებით მაინც უნდა იცოდე, ვინ შეცვლის მას. წინააღმდეგ შემთხვევაში, სერიოზული ვაკუუმი წარმოიქმნება. "ვალენსიას" სპეციფიკური პოლიტიკა აქვს. ფეხბურთელების შესანარჩუნებლად დიდი ძალისხმევით ვიბრძვით და პარალელურად, ახალგაზრდებს ზრდისა და პროგრესის საშუალებას ვაძლევთ. მოკლედ, ჩვენი პრიორიტეტია ბიჭებს კონტრაქტები გავუხანგრძლივოთ, თუმცა არავინ უარყოფს, რომ ზოგჯერ მოთამაშეების გაყიდვაც აუცილებელია.

- ხომ არ გეჩვენებათ, რომ თქვენი გუნდი საკმარისად დაგეშილი არ არის? სხვათა შორის, "ვალენსიას" ხშირად მიძინებულ გიგანტს უწოდებენ...

- ამბიციები არ გვაკლია. თუნდაც გასული სეზონი გაიხსენეთ. ტრავმების ეპიდემიის გამო, მრავალი ქულა დავკარგეთ და ურთულეს სიტუაციაში აღმოვჩნდით, მაგრამ ფრან-ხმალი არ დავყარეთ და მეორე წრეში მნიშვნელოვან წარმატებებს მივაღწიეთ. მიძინებულები არ ვართ, ყოველთვის გვღვიძავს, თუმცა აუცილებელია, რომ დინამიკა არ დავკარგოთ. ვალდებული ვარ, გუნდის მაჯისცემა ყოველდღიურად შევამონმო.

- რა სჭირდება "ვალენსიას" იმისთვის, რომ "სევილიის" მსგავსად, დიდ წარმატებებს მიაღწიოს?

- სტაბილურობა. "სევილია" ევროპის ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური გუნდია. ჩვენ კი დაქსაქსულობამ და გაუტანლობამაც შეგვიშალა ხელი. ზედიზედ ხუთი მატჩი ცუდად ჩავატარეთ. ყველამ იცის, რომ მიზეზი ტრავმები იყო. მიუხედავად ამისა, გუნდს უამრავი ადამიანი დაესხა თავს. მინასთან გაგვასწორეს. სევილიისში კი მთელი ქალაქი გუნდის გვერდით დგას.

- გუნდის ახალწვეულებს თვალს თუ გადავავლებთ, აღმოვაჩენთ, რომ არც ერთი მათგანი არაა იმ დონის ფეხბურთელი, რომელსაც ძირითად შემადგენლობაში ადგილი გარანტირებული ექნება.

- მთავარი ის არის, რომ ახალწვეულების მოსვლასთან ერთად, გუნდში კონკურენცია გაიზარდა. ფეხბურთი თავგანწირვაა. სიხარულით შემიძლია მოგახსენოთ, რომ ვალენსიელები სწორედ თავგანწირვით ვარჯიშობენ. ჩემი ბიჭებისგან ძალიან ბევრს ველი.

- თუმცა ჩემპიონთა ლიგის შესარჩევი მატჩის ძირითად შემადგენლობაში არც ერთი ახალწვეული არ ყოფილა...

- დიახ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ახალწვეულები ცუდი ფეხბურთელები არიან. გამოცდილება გადამწყვეტ როლს თამაშობს. ვეტერანებს ექსპერტებს ვუწოდებ. ჩავთვალე, რომ ჩემპიონთა ლიგის საპასუხისმგებლო შესარჩევ მატჩში სწორედ მათი გამოცდილება და ცოდნა გვჭირდებოდა. ახალწვეულებს აუცილებლად მიეცემათ შესაძლებლობების გამომჟღავნების შანსი. ისინი "ვალენსიას" დიდ დახმარებას გაუწევენ.

- ძლიერი ცენტრალური ნახევარმცველი ჰაერივით გჭირდებათ, მაგრამ მისი შეძენა ჯერაც ვერ მოახერხეთ. არადა, სატრანსფერო ბაზრის დახუვამდე ერთი კვირა დარჩა..

- ასი პროცენტით დარწმუნებული ვარ, რომ ტრანსფერი გაიჩარხება. ამასთან, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ბარახა შესანიშნავ ფორმაშია. ძნელია, ასეთი დიდი გამოცდილების მქონე ნახევარმცველი კიდევ სადმე იპოვნო.

- მოდით, ესპანეთის ჩემპიონატის უპირველეს ფავორიტებზეც ვისაუბროთ. სამეფო კლუბზე რას გვეტყვით?

- როცა ახალი მწვრთნელი ინიშნება, მას საკმაო დრო სჭირდება იმისთვის, რომ გუნდს თავისი ხელი დაატყოს. ჩემპიონ გუნდში მისულ სპეციალისტს კი ეს ყველაფერი ორმაგად უძნელდება. წარმოიდგინეთ, ფაბიო კაპელომ "რეალს" პრიმერა დივიზიონი მოაგებინა, მაგრამ ის თანამდებობიდან დაითხოვეს. შუსტერმა დაახლოებით იგივე უნდა გააკეთოს, რაც კაპელომ შეძლო. უცნაურია, არა?! ჩემპიონი მწვრთნელი სახლში გაუშვეს. შეუძლებელია, შუსტერი ფსიქოლოგიური წნეხის სიმძიმეს არ გრძნობდეს. არ გამოვრიცხავ, სამეფო კლუბს ახალ სეზონში პრობლემები შეექმნას, მაგრამ დარწმუნებული ვარ, დედაქალაქელები უმაღლესი მიზნებისთვის იბრძოლებენ.

- "ბარსელონას" იმდენი ვარსკვლავი ჰყავს, რომ ძირითადი შემადგენლობა ყველას ვერ დაიტევს...

- "ბარსა" ყოველმხრივ დინამიკური გუნდია. დირექტორატში, სათადარიგოთა სკამზე, ძირითად შემადგენლობასა და სამწვრთნელო შტაბში უდიდესმა პროფესიონალებმა მოიყარეს თავი. კატალონიელები ცდილობენ, რომ სასურველ შედეგებს ულამაზესი ფეხბურთით მიაღწიონ. ვფიქრობ, "ბარსელონას" ჩინებული შანსი აქვს, რომ ჩემპიონობისთვის იბრძოლოს.

ილია ნიკოლაიშვილი



კიკე ფლორესისა და რუბენ ბარახას პრესკონფერენცია ელფსბორგთან გუშინდელი მატჩის წინ

რაიტ-ფილიპსი დეფოს ნაცვლად?

"ჩელსიმ" "ტოტენჰემს" **შონ რაიტ-ფილიპსისა** და **ჯერმეინ დეფოს** გაცვლა შესთავაზა. ამ ინფორმაციას "დეილი მეილი" ავრცელებს. თავდაპირველად, "მამლები" დათანხმდნენ, მაგრამ შემდეგ 4 მილიონი გირვანქის დამატება მოითხოვეს. ფეხბურთელთა ფასი განსხვავდება. რაიტ-ფილიპსი 10.5 მილიონი გირვანქა ღირს, დეფო - 15 მილიონი. თანაც ამ უკანასკნელს "მანჩესტერ იუნაიტედიც" ეპატიჟება. რაიტ-ფილიპსმა სეზონი შთამბეჭდავად დაიწყო. მან "არისტოკრატების" ყველა თამაში ძირითად შემადგენლობაში ჩაატარა.

ბაპტიშტას ლივერპულიც გამოუჩნდა

"მარკა" იუწყება, რომ "ლივერპულმა" "რეალს" **ჟულიო ბაპტიშტას** სანაცვლოდ 13.5 მილიონი გირვანქა შესთავაზა. ბრაზილიელმა თავდამსხმელმა გასული სეზონი იჯარით "არსენალში" გაატარა. "ლივერპულთან" ლიგის თასის მატჩისას ბაპტიშტამ თავზე ხელი აიღო და ოთხი გოლი გაიტანა. როგორც ჩანს, **რაფა ბენიტესის** მოწონებაც მაშინ დაიმსახურა. ზაფხულის განმავლობაში ფორვარდს "ნიუკასლში", "ვილიარეალსა" და "მანჩესტერ სიტიში" ეპატიჟებოდნენ, მაგრამ ის დღემდე მადრიდელთა განკარგულებაშია.

ნიუკასლის ბოსს ტოტენჰემი მოუნდა

"ნიუკასლის" მფლობელი **მაიკლ ეშლი** კლუბის გაყიდვას აპირებს. მისი გადაწყვეტილება მოულოდნელია. ეშლიმ ჯორდების აქციათა საკონტროლო პაკეტი გაზაფხულზე შეიძინა. განვლილ ექვს თვეში მან 170 მილიონი გირვანქა დახარჯა - 133 მილიონი საკუთრივ კლუბის შესაძენად, 30 მილიონი ვალების გასასტურმებლად და კიდევ 7 მილიონი ახალი ფეხბურთელების შესაძენად. "სანის" ცნობით, ეშლიმ ჩინური კონსორციუმისგან იმდენად სარფიანი წინადადება მიიღო, რომ უარის თქმა შეუძლებელია. ჩინელები მას 220 მილიონ გირვანქას შესთავაზებენ, რაც უკვე დახარჯულ თანხას 50 მილიონით აღემატება. მაიკლ ეშლი ფეხბურთიდან წასვლას არ აპირებს. ის "ტოტენჰემის" ხელში ჩაგდებას შეეცდება.

რომა: მანსინი არ იყიდება

რომაელმა სპორტული დირექტორი **დანიელე პრადე** უარჰყოფს ინფორმაციას **ამანტინო მანსინის** შესაძლო აბარგების თაობაზე. იტალიური სააგენტოების მტკიცებით, მანსინი "ლიონის" ემისრებს შეხვდა. "ჯალოროსი" გარიგებაზე თანახმაა, ამტკიცებენ ჩვენი იტალიელი კოლეგები. სინიორ პრადე ამბობს, რომ მანსინის შესახებ არავისთან უსაუბრია. "რომას" "ლიონთან" მოლაპარაკებები არ გაუმართავსო, გვარწმუნებს ის. მანსინი "რომაში" 2003 წელს "ვენეციიდან" გადავიდა. ბრაზილიელმა განაპირა მცველმა "ჯალოროსის" მაისურით 123 მატჩი ჩაატარა და 32 გოლი შეაგდო.

მადურო აიაქსიდან იუვენტუსში?

"იუვენტუსს" აიაქსელი ნახევარმცველი **ჰედვიგეს მადურო** სურს. ჰოლანდიის ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანი ამსტერდამელებთან ახალი კონტრაქტის გაფორმებას არ აპირებს. 1 იანვრიდან კი დაინტერესებულ კლუბებთან მოლაპარაკებების გამართვა შეუძლია. მოსალოდნელი გარიგების ფინანსური დეტალები არ გახმაურებულა.

საქართველო
GEORGIA

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძლეოსნობა


დავით ილარიანმა

ილარიანმა ოსაკაში გაირბინა

გუშინ ოსაკაში მძლეოსანთა მსოფლიო ჩემპიონატზე ქართველმა თარჯმორბენალმა **დავით ილარიანმა** იასპარეზა. მან 110 მეტრზე თარჯრბენში მეოთხე გარბენში მიიღო მონაწილეობა. ქართველის პერსონალური მიღწევა ამ დისციპლინაში 13.69 წამია, რომელიც ილარიანმა სამი წლის წინათ კიევში აჩვენა, თუმცა მას მერე ამ შედეგთან მიახლოება უჭირდა. დავით ილარიანისთვის ოსაკას ჩემპიონატი კარიერაში მეოთხეა, 2001 წელს ედმონტონში მან პიტში (შესარჩევი გარბენი) მეექვსე შედეგი აჩვენა - 14,08 წმ. 2003 წელს პარიზში ქართველმა დისტანცია 13,89 წამში დაფარა და პიტში კვალვ მეექვსე ადგილი დაიკავა. 2005 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ჰელსინკიში ილარიანისთვის ყველაზე უიღბლო იყო, მან 110 მეტრი 14,88 წამში გაირბინა და ჰიტში მეშვიდე ადგილი დაიკავა. ათენის ოლიმპიადაზე ილარიანმა 13,72 შედეგი აჩვენა (ჰიტში მეექვსე).

გუშინ, ილარინმა მეოთხე შესარჩევ გარბენში მეშვიდე შედეგი აჩვენა და მხოლოდ რუს **იგორ პერემოტას** აჯობა. ილარიანმა დისტანცია 13,82 წამში გაირბინა და შემდეგი ეტაპის საგზური ვერ მოიპოვა. სხვათა შორის, ქართველს საკუთარი მიღწევაც რომ გაემეორებინა, საგზურს მაინც ვერ შეწვდებოდა - 13,66 იყო ყველაზე ცუდი დრო, რომლითაც მძლეოსანი შემდეგ ეტაპზე გავიდა (ამერიკელი **დევიდ ოლივერი**). საბოლოოდ, 50 მონაწილეს შორის დავით ილარიანმა 42-ე ადგილი დაიკავა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

კალათბურთი

ჰანო მოტოლა

ფინეთს მოტოლა ემატება

ფინეთის ნაკრებმა წლევანდელი სეზონი ერთ-ერთი ლიდერის **ჰანო მოტოლას** გარეშე დაიწყო. ავსტრიისა და ისლანდიის ძლევა სუომელებმა მის გარეშეც მოახერხეს. საქართველოში კი, იციან, რომ იოლი გასეირნება არ ელით და ყველა ღონე იხმარეს, რომ მოტოლა დაებრუნებინათ. ფინელი ექიმების თქმით, ჰანომ ტრავმა უკვე მოიშუშა და თამაშისთვის მზადაა. რამდენად კარგადაა მომზადებული, ამას 2 სექტემბერს, სპორტის სასახლეში ვნახავთ. აქვე შეგახსენებთ, რომ მოტოლა ამ ზაფხულს ბერძნულ "არისში" გადავიდა, სწორედ იქ, სადაც ივლისში მთავარ მწვრთნელად **გორდონ ჰერბერტი** დაინიშნა.

აზოტი უკვე ვარჯიშობს

ოქტომბრის ბოლოს, საქართველოს ჩემპიონი რუსთავის "აზოტი" ევროთასზე ჰოლანდიურ "ასტრონავტსს" დაუპირისპირდება. შესაბამისად, რუსთაველებისკენ ქართველი ქომაგის გაფაციცებული ყურადღებაა მიმართული. ყველას აინტერესებს, რა შემადგენლობით დახვდებიან აზოტელები ჰოლანდიელებს, ჩამოიყვანენ თუ არა ლეგიონერებს და როგორ ემზადებიან მომავალი ორმატჩიანი დუელისვის. ამ საკითხებზე მთავარ მწვრთნელ დავით უსტიაშვილთან საუბარი ვერ შედგა, რადგან იგი ნაკრებთან ერთად ისლანდიაშია. თუმცა არანაკლებ კომპეტენტურია მეორე მწვრთნელი მიხელ ბერუაშვილი, რომელიც თავკაცის არყოფნაში მთავარი მწვრთნელის ფუნქციებს ასრულებს. მასთან საუბარი შეკრებით დავიწყეთ.

- "აზოტმა" მომავალი სეზონისთვის მზადება 5 აგვისტოს, რუსთავში დაიწყო. 12 აგვისტოს ათდღიანი შეკრება ბაკურიანში გავიარეთ, 22-ის შემდეგ ისევ რუსთავში ვართ და ნაკრებიდან რუსთაველი კალათბურთელებისა და მწვრთნელის დაბრუნებას ველით. სწორედ მას შემდეგ დაკონკრეტდება მომავალი მზადების გეგმა.

- ნაკრებიდან ვინ შემოგიერთდებათ?

- ჯერ ვერ გეტყვით, რადგან საბოლოოდ არაფერია გადაწყვეტილი. სექტემბრის დასაწყისში ეროვნული გუნდი თბილისში იქნება და სწორედ მაშინ გაირკვევა, ვინ მიდის და ვინ მოდის...

- ამჟამად, გუნდში ვინ ვარჯიშობს?

- ძველი შემადგენლობიდან "აზოტში" ვარჯიშობენ კამერუნელი ჟულივეტ ტუჯანი, რამაზ გოგობერიშვილი, მიხეილ ჭოჭუა, ლევან ცეკვავა, რეზო დიდია. მათთან ერთად სხვა ახალგაზრდა რუსთაველებიც ემზადებიან.

- "აზოტიდან" წამსვლელთა შესახებ რა იცით?

- მხოლოდ ორი გვარის დასახელება შემიძლია - გიორგი მარკოიშვილი და ვაკო ბეჟანიშვილი "ვითაში" გადავიდნენ. სხვა წამსვლელებზე ჯერ არანაირი ინფორმაცია არ მაქვს.

- იყო საუბარი რუსთავში ლეგიონერების გამოჩენაზე...

საქართველოს ჩემპიონი ევროთასისთვის ემზადება

- უცხოელებზე კონკრეტულად ჯერ არაფერი თქმულა. იყო საუბარი, რომ სჯობს მათ დავეყრდნოთ, ვინც გუნდს საქართველოს ჩემპიონობა მოუტანა. მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნე, შემადგენლობის საკითხი ჯერაც არ არის გადაწყვეტილი.

- ამსტერდამელ მეტოქეზე თუ აგროვებთ ინფორმაციებს?

- როგორც ვიცი, "ასტრონავტსმა" სატრანსფერო საკითხების გადაწყვეტა უკვე დაიწყო. გუნდში ერთი-ორი ამერიკელი კალათბურთელი გამოჩნდა, როგორიცაა ხორვატიც, მაგრამ ისევე როგორც ჩვენთან, იქაც საბოლოო შემადგენლობა გარკვეული არ არის. ამსტერდამელებიც ჩამოყალიბების სტადიაში არიან. ეს ნორმალურია, რადგან ევროთასის მატჩები ოქტომბრის ბოლოს იწყება.

ვაჟა სიმონიშვილი

ჩოგბურთი

შაფათავა: მოსკოვიდან ბაქოში

18 წლის ქართველი ჩოგბურთელი **სოფიო შაფათავა** მოსკოვის საერთაშორისო ტურნირის (50 ათასი დოლარი) მერვედფინალში დამარცხდა. სოფიოს მეტოქე 19 წლის რუმინელი **მიჰაელა ბუზარნესკუ** (383) იყო, შაფათავამ 4:6, 2:6 წააგო. მეოთხედფინალში ბუზარნესკუ ყაზახ **ამინა რახიმს** (301) შეხვდება. მსოფლიოს 579-ე ჩოგნისთვის 50-ათასიან ტურნირში მეორე წრეში გასვლაც დიდი წარმატებაა, შაფათავამ მანამდე სამი საკვალიფიკაციო წრე გადალახა და ძირითად ბადეშიც ერთი თამაში მოიგო. შაფათავა ბაქოში ჩავა, სადაც 10-ათასიანი ტურნირის პირველი (ან მეორე) ჩოგანი იქნება. სხვათა შორის, ამ ტურნირის ძირითად ბადეში **მანანა შაფაქიძე, ეკა გორგოძე, სოფიო ქვაცაბაია, თინათინ ყავლაშვილი, მარიამ ქურდაძე** და **თეონა ცერცვაძე** ითამაშებენ. საკვალიფიკაციო ბადეში იქნებიან **სალომე ალადაშვილი, ანა ჯიქია, სოფიო შარანგია** და **ნათია გეგია**. სათადარიგოთა სიაში კიდევ ერთი ქართველია - **თათია მიქაძე**.

წყვილებში წინ მიიწევს

კვებეკში კანადის ღია პირველობაზე 18-წლამდელ ჩოგბურთელთა შორის მხოლოდ ერთი ქართველი მონაწილეობს - მსოფლიოს მე-19 ჩოგანი **ოქსანა კალაშნიკოვა**. ტურნირი პირველი კატეგორიისა და ამერიკის ახალგაზრდული პირველობის გენერალური რეპეტიციაა. მერვე ნომრად განთესილმა კალაშნიკოვამ ერთეულთა თანრიგში ცუდად იასპარეზა, მან მეორე წრეში წააგო. კალაშნიკოვა ბრძოლას წყვილთა თანრიგში აგრძელებს რუს **ქსენია ლიკინასთან** ერთად. კალაშნიკოვა და ლიკინა კანადის ღია პირველობაზე პირველ ნომრებად განთესეს. პირველ წრეში ისინი ისვენებდნენ, მეორეში კი ამერიკელი **ალექსა გუარაჩი** და კანადელი **ნიკოლ სმიტი** დამაარცხეს - 6:4, 6:2. მეოთხედფინალში ქართულ-რუსულ დუეტს იაპონური წყვილი დაუპირისპირდება, **მისაკი დოი** და **კურუმი ნარა** მერვე ნომრად განთესეს.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ჭადრაკი

ჯავახიშვილი ბაქოში ითამაშებს

აზერბაიჯანის დედაქალაქი ბაქო 3-12 სექტემბერს ქალ მოჭადრაკეთა დიდ საერთაშორისო ტურნირს უასპარეზებს, რომელიც მეორედ გაიმართება. ტურნირში ათი მონაწილეა, მათ შორის -დიდოსტატი **ლელა ჯავახიშვილი** (2460). ლელაზე მაღალი რეიტინგი ოთხ მოჭადრაკეს აქვს: **პია კრამლინგს** (შვედეთი, 2533), **ანტუანეტა სტეპანოვას** (ბულგარეთი, 2481), **მონიკა სოცკოს** (პოლონეთი, 2479) და **ვიქტორია ჩმილიტეს** (ლიტვა, 2467). მათ გარდა ბაქოში ითამაშებენ: **კატერინა ლაჰნო** (უკრაინა, 2450), **სოფი მილიე** (საფრანგეთი, 2414) და სამი აზერბაიჯანელი მოჭადრაკე (**ილაჰა კადიმოვა, ფირუზა ველიხანლი** და **ნარგიზ უმუდოვა**).

ნიკოლოზ ნეფარიძე

პლაჟბურთი

მსოფლიო ტური

საქა-რთველოს მცირე სენსაცია

სანკტ პეტერბურგში დაწყებულ მსოფლიო ტურის მორიგ ეტაპზე, ქართულ პლაჟბურთის წყვილმა **საქართველომ** პირველ შეხვედრაში, მსოფლიო პლაჟბურთის ყველაზე ლამაზ წყვილს, ბრაზილიელ დებს **კაროლინასა** და **მარია კლარას** სძლია - 2:0 (21:18, 25:23). ჩვენმა ფრენბურთელებმა მსოფლიოს ჩემპიონატზე განცდილი მარცხისთვის რევანში აიღეს. ბრაზილიელთა ეს დუეტი სანკტ პეტერბურგში მეთერთმეტე ნომრად იყო განთესილი, საქა-რთველო კი-ოცდამეორედ.

სამწუხაროდ, ჩვენმა ფრენბურთელებმა მომდევნო შეხვედრაში მარცხი იწვნიეს მე-6 ნომრად განთესილ ამერკელებთან **ტერნერთან** და **ვოჩოლდერთან** - 1:2 (15:21, 21:18, 15:12).

დღეს საქა-რთველო ეთამაშება ესპანელებს, **მატვეევასა და ალსონს**, რომლებიც ტურნირზე 21-ე ნომრები არიან. ჩვენს გოგონებს წაგების უფლება ალარ აქვთ. დღესვე ჩაებმება ვაჟთა ტურნირში **გეორ-გია**.

ბესიკ ჯანგავაძე

კალათბურთი
ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
B დივიზიონი
2 სექტემბერი
საქართველო VS ფინეთი
დასაწყისი: 19.00
სახალხო ბანკი
PEOPLE'S BANK
GEOSPORT
სასტუმრო ვარაზი
HOTEL VARAZI

ძიუდო

მსოფლიო ჩემპიონატი

ზეგ ბრაზილიაში მიფრინავენ





ტადაპირო ნომურა, კრეიგ ფელონი და არიელ ზეევი რიო დე ჟანეიროში არ იჭიდავებენ

ძიუდოისტ ვაჟთა ნაკრები უკვე დაბრუნდა ბორჯომიდან, სადაც ორკვირიანი შეკრება გაიარა. ახლა რამდენიმე დღით თბილისში დაისვენებენ, 1 სექტემბერს კი ბრაზილიაში გაფრინდებიან ერთობლივ შეკრებაზე. ჩვენები10-მდე სან პაულუში ივარჯიშებენ, 11-ში რიო დე ჟანეიროში გაფრინდებიან, სადაც 13-16 სექტემბერს მსოფლიოს 25-ე ჩემპიონატი ჩატარდება. ეს შეკრება გუნდს ძალიან დაეხმარება აკლიმატიზაციაში, მისი მონყობა კი ოლიმპიური ფონდის დახმარებით მოხერხდა. საერთოდაც, ძიუდოისტთა მსოფლიოსთვის მზადებას (როგორც ევროპისთვის) მთლიანად ოლიმპიური ფონდი აფინანსებს და შეუფერხებლად.

შეგახსენებთ, რომ ბრაზილიაში **ნესტორ ხერგიანი** (60), **ზაზა კედელაშვილი** (66), **დავით ქევხიშვილი** (73), **გიორგი ბაინდურაშვილი** (81), **ირაკლი ცირეკიძე** (90), **ლომერ ჟორჟოლიანი** (100), **ლაშა გუჯეჯიანი** (+100) და **ზვიად ხანჯალიაშვილი** (აბსოლუტური) იჭიდავებენ. ნაკრების თავკაცი შოთა ხაბარელი ბორჯომში ჩატარებული შეკრებით კმაყოფილია. რაც მთავარია, ყველაფერმა მშვიდობიანად, ტრავმების გარეშე ჩაიარა. ხერგიანსა და ქევხიშვილს ძველი ტრავმებიც მოუშუშდათ. მართალია, ქევხიშვილს კოჭი ეტკინა, მაგრამ ეს საშიში არც თავიდან ჩანდა და გუშინ სრული დატვირთვითაც ივარჯიშა.

ამასობაში საკმაოდ საინტერესო სიახლეებია სხვა გუნდებში - მსოფლიო ჩემპიონატს რამდენიმე ცნობილი ფალავანი დააკლდება. განსაკუთრებით დიდი ცვლილებები 60-შია, სადაც ტრავმების გამო არ იჭიდავებენ სახელოვანი იაპონელი, სამგზის ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონი **ტადაპირო ნომურა**, ბრიტანელი ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონი **კრეიგ ფელონი** და აზერბაიჯანელი მსოფლიოს პრიზიორი **ნიჯატ შიხალიზადე**. თანამედროვეობის უპოპულარულესი ძიუდოისტი ნომურა ჩემპიონატს მუხლის ტრავმის გამო გამოაკლდება, რომელიც საწვრთნელ შეკრებაზე მიიღო. ათენის ოლიმპიადის შემდეგ იგი თითქოს საბოლოოდ წავიდა სპორტიდან და მთელი ორი წელიწადი არსად გამოჩენილა, მაგრამ ყველასთვის მოულოდნელად, 2006 წლის გაზაფხულზე პრაღის მსოფლიო თასზე ჩავიდა და ლამის უკონკურენციოდ გაიმარჯვა. მას შემდეგ იგი რეგულარულად გამოდიოდა ტურნირებში და ეჭვის არავის ეპარებოდა, რომ მსოფლიო პირველობაზეც უპირველესი ფავორიტი იქნებოდა, მაგრამ ახლა მას თბილისელი მაყურებლისთვის კარგად ნაცნობი **ტაცუიაკი ეგუსა** შეცვლის. 30 წლის ეგუსას ყველაზე დიდი მიღწევა აზიის ორგზის ჩემპიონობაა.

რიო დე ჟანეიროში ფელონიც წონის ლიდერად უნდა მოგვვლინებოდა, მაგრამ მასაც ტრავმამ შეუშალა ხელი. ფელონმა გაზაფხულზე მხარი იტკინა და მერე თუმც კი შევიდა ფორმაში, მაგრამ ამ პირველობისთვის სათანადოდ მომზადება მაინც ვერ მოასწრო და ჩემპიონატის გამოტოვება ამჯობინა. იგი პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიისთვის გაისად იბრძოლებს და თუ ჯანმრთელობა ხელს შეუწყობს, პრობლემა არც შეექმნება.

განსხვავებული და სკანდალურია აზერბაიჯანელის გამოკლების მიზეზი - იგი დოპინგზე ჩავარდა. რაღაც ამოუხსნელი ინტუიციით, მინსკში გამართულ ერთობლივ ვარჯიშებზე საერთაშორისო ანტიდოპინგური სააგენტოს ოფიცრებმა აზერბაიჯანელთა გუნდიდან მაინცდამაინც მას და **მემან აზიზოვს** დაადგეს თვალი. აზიზოვს არაფერი, მაგრამ შიხალიზადეს სისხლში კი აღმოაჩინეს საყოველთაოდ გავრცელებული, მაგრამ აკრძალული პრეპარატი - ფუროსემიდი. ანტიდოპინგურ სააგენტოს ჯერჯერობით მისი დისკვალიფიკაციის შესახებ არ უმსჯელია, მაგრამ იგი მსოფლიო პირველობაზე არ იჭიდავებს.

ბრაზილიაში არც ისრაელის ნაკრების ლიდერი, ევროპის სამგზის ჩემპიონი, მსოფლიო ვიცე-ჩემპიონი და ოლიმპიური პრიზიორი **არიელ ზეევი** (100) იჭიდავებს - მან მყესი გაიწყვიტა. აღსანიშნავია, რომ ზეევმა ტრავმის გამო წინა მსოფლიო პირველობაც გამოტოვა. ფელონისა არ იყოს, საგაისო სეზონს და პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიის მოპოვებას ისიც იმედიანად უყურებს. მართლაც, ჯანმრთელობა თუ არ უღალატებს, საგზურს ესეც უეჭველად მოიპოვებს, ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ ევროპის წლევანდელ პირველობაზე ბრინჯაოსთვის ბრძოლაში სწორედ ზეევმა მოუგო ჟორჟოლიანს, თუმცა მხოლოდ გაფრთხილებით, დაძაბულ ბრძოლაში და ღირსეული წინააღმდეგობისთვის ქართულად მადლობაც გადაუხადა. მას ქართული წარმოშობის მწვრთნელი - **რამაზ მამისთვალოვი** ავარჯიშებს და თბილისის ხშირი სტუმარიცაა.

მსოფლიო ჩემპიონატს გამოაკლდება ესტონელი ევროპის პრიზიორი **დმიტრი ბუდოლინიც** (90), რომელიც საერთოდ წავიდა სპორტიდან.

ჯერჯერობით გუნდების უმრავლესობა მსოფლიოზე წასაყვან შემადგენლობას ღიად არ ასახელებს, თუმცა რამდენიმე გუნდის სია კი მოვიპოვეთ. უპირველესად, ფრანგების გუნდს გაგაცნობთ, თუმცა მანამ გეტყვით, რომ საფრანგეთის ძიუდოს ფედერაციამ უკან დაიხია და ევროპის ორგზის ჩემპიონი **ბენჟამენ დარბელეს** რიო დე ჟანეიროში ასპარეზობის უფლება დართო. შეგახსენებთ, რომ ორიოდ თვის წინ იგი, როცა შეკრებაზე უნდა ყოფილიყო, საკუთარი ავტომანქანით ავარიაში მოჰყვა. ამით გაცეცხლებულმა ფრანგული ძიუდოს მამებმა და ნაკრების ხელმძღვანელებმა ერთობლივად განაცხადეს, რომ დარბელე რეჟიმის დარღვევისთვის მოკვეთილია ნაკრებიდან და მსოფლიო პირველობაზე არ იჭიდავებს. თუმცა რამდენიმე დღეში გაბრაზებამ გაიარა და საფრანგეთის ძიუდოს საიტზე ასეთი ინფორმაცია გაჩნდა - დარბელეს საკითხზე ფედერაცია იმსჯელებს და საბოლოო გადაწვეტილებას მერე გამოვიტანთ, მანამდე კი შევხედავთ, როგორ ივარჯიშებს დარბელე, როგორ მოეკიდება საქმესო. საბოლოოდ დარბელე მაინც შეიყვანეს ნაკრებში, სადაც მის გარდა **დმიტრი დრაგინი** (60), **დანიელ ფერნანდესი** (73), **ანტონი როდრიგესი** (81), **მათიო დეფრევილი** (90), **ფრედერიკ დემონფოკო** (100), **ტედი რინერი** (+100) და **მათიო ბატე** (აბსოლუტური) იჭიდავებენ.

შემადგენლობა გამოაქვეყნეს მასპინძლებმაც, რომლებიც სტუმრებს უძლიერესი შემადგენლობით დაუხვდებიან: **ალექსანდრე ლეე** (60), მსოფლიო ჩემპიონი **ჟოაო დერლი ჟუნიორი** (66), ოლიმპიური პრიზიორი **ლეანდრო გილეირო** (73), **ტიაგო კამილო** (81), ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი და მსოფლიოს პრიზიორი **კარლოს ონორატო** (90), მსოფლიოს პრიზიორი **ლუსიანო კორეა** (100), **ჟოაო გაბრიელი** (+100) და **დანიელ ერნანდესი** (აბსოლუტური). ამ გუნდში ახალი ხალხია ლეე და გაბრიელი, სხვებს კი გამოცდილება არ აკლიათ. ჩანს, ნაკრებში ადგილი საბოლოოდ დაკარგეს ოლიმპიურმა პრიზიორმა **ფლავიო კანტომ** (81) და მსოფლიოს პრიზიორმა **მარიო საბინო ჟუნიორმა** (100).

უკრაინელთა შემადგენლობა ასეთია: ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონი **გიორგი ზანთარაია** (60), **ვლადიმირ სოროკა** (66), ევროპის ორგზის ჩემპიონი და მსოფლიოს პრიზიორი **გენადი ბილოდიდი** (73), ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანი და მსოფლიოს ბრინჯაოს პრიზიორი **რომან გონტიუკი** (81), ევროპის სამგზის ჩემპიონი **ვალენტინ გრეკოვი** (90), მსოფლიოს პრიზიორი **ვიტალი ბუბონი** (100), მსოფლიოს პრიზიორი **ევგენი სოტნიკოვი** (+100) და **ვიტალი პოლიანსკი** (აბსოლუტური).

გერმანელთა გუნდის სრულ შემადგენლობას ვერა, მაგრამ ნაწილს კი გაგაცნობთ: **ოლე ბიშოფი** (81), **მიხაელ პინსკე** (90), **ანდრეას ტოლცერი** (+100) და **ტინო ბიერაუ** (აბსოლუტური).

ირაკლი თავაძე

თეძრილი

გიორგი ასანიძე. დაიბადა 30.08.1975, საჩხერე. ძალოსნობა (77 და 85 კგ). 2004 წლის ათენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, 2000 წლის სიდნეის ოლიმპიადის მესამე პრიზიორი (საუკეთესო შედეგი სამმა ძალოსანმა აჩვენა. მათ შორის მედლები პირადი წონის მიხედვით განაწილდა, სამეულში კი ყველაზე მძიმე ქართველი სპორტსმენი აღმოჩნდა). მსოფლიოს ჩემპიონი (2001) და მეორე პრიზიორი (2002), ევროპის სამგზის ჩემპიონი (2000, 01, 02) და მეორე პრიზიორი (1998). მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის (1994, 95). ატაცში დამყარებული აქვს ორი მსოფლიო რეკორდი: 168 კგ (77 კგ კატეგორიაში, 1998) და 186 კგ (85 კგ კატეგორიაში, 2000). საქართველოს სამგზის წლის საუკეთესო სპორტსმენი (1998, 2000, 01). ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის II და III ხარისხის ორდენების კავალერი.

საიდა გუმბა. დიბადა 30.08.1959, სოხუმი. მძლეოსნობა, შუბის ტყორცნა. 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიური თამაშების წლის მეორე პრიზიორი (67,76 მ), სსრკ ჩემპიონი (1978) და სსრკ ხალხთა VII სპარტაკიადის ჩემპიონი (1979). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაბადების დღეს ულოცავს ოლიმიურ ჩემპიონს (2004) და მესამე პრიზიორს (2000) ძალოსნობაში **გიორგი ასანიძეს**.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაბადების დღეს ულოცავს შუბის ტყორცნაში ოლიმპიური თამაშების (1980) მეორე პრიზიორს **საიდა გუმბას**.

სპორტის აკადემია

მარჯვნივ და მარცხნივ...

ანუ ხელშეკრულებები ფორმდება, ბრძოლა გრძელდება

სპორტის აკადემიის დაცარიელებული შენობა ახლა ორი მოვლენის შუაში დგას. აკადემიიდან ხელმარჯვნივ - ქართული ჭიდაობის ღია არენაზე, სასწავლებლის პროფესორ-მასწავლებლები ოთხშაბათობით, დილის 11 საათიდან იკრიბებიან და თავიანთ პრეტენზიას გამოთქვამენ აკადემიის სტატუსთან დაკავშირებით. მარცხნივ - მეზობელ შენობაში, სადაც ი. ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტია განთავსებული და რომელსაც, მთავრობის გადაწყვეტილებით შეუერთდა სპორტის აკადემია, უკვე შრომით ხელშეკრულებებს აფორმებენ იგივე პროფესორ-მასწავლებლები. მოკლედ, ხელშეკრულებები ფორმდება, ბრძოლა - გრძელდება.



ბიბლიოთეკა

მსოფლიო ჩემპიონატი

საუკუნეში პირველი ამერიკელი

1908 წელს, ლონდონის ოლიმპიადაზე, ამერიკელმა **მელვინ შეპარდმა** 1500 მეტრზე სირბილში ოლიმპიური ოქრო მოიპოვა. მას შემდეგ კი გავიდა თითქმის საუკუნე და ამ დისტანციაზე ამერიკელ კაც მორბენლებს დიდ ტურნირებზე (ოლიმპიადები და მსოფლიო ჩემპიონატები) ერთხელაც არ გაუმარჯვიათ.

ამ ნაკლის გამოსასწორებლად, მძლეოსნობის ამერიკელმა მესვეურებმა გადაიბირეს კენიელი **ბერნარდ ლაგატი**, რომელმაც ორმაგი მოქალაქეობა მიიღო. ამის გამო, ლაგატს მსოფლიოს წინა ჩემპიონატზე (ჰელსინკი, 2005 წელი) გამოსვლის უფლება არ მიეცა (კენიელთა მოთხოვნით). მაგრამ გავიდა ორი წელი და ლაგატმა მასზე დაკისრებული მისია პირნათლად შეასრულა - ოსაკაში გუშინ სწორედ მან მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის წოდება.

"ასეთი ბედნიერი არასოდეს ვყოფილვარ. ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს ის ფაქტი, რომ ოქროს მედალი აშშ-ის სახელით მოვიპოვე. რაც ფინიშის ხაზი გადავკვეთე, ზურგზე ეს დროშა მაქვს მოხურული. ცოტა დაბნეულიც ვარ, რადგან აქამდე არასოდეს ვყოფილვარ მსოფლიოში პირველი და ჩემთვის ყველაფერი ეს უცნაურია", - განაცხადა 32 წლის ჩემპიონმა, ვინც აშშ-ის სახელით გამოსვლის უფლება მხოლოდ ამ სეზონის დასაწყისში მიიღო.

ამჯერად მხოლოდ ვერცხლს დასჯერდა ბაჰრეინელი **რაშიდ რამზი**, ვინც ორი წლის წინათ, მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული 1500 და 800 მეტრზე რბენაში მოიპოვა.

გუშინ ამერიკელებმა სულ ორი ოქრო მოიპოვეს. ლაგატამდე, ას მეტრზე ქალთა თარჯრბენში ყველას **მიშელ პერიმ** აჯობა და ჰელსინკიში მოპოვებული ტიტული შეინარჩუნა. მან 0.03 წამით ჩამოიტოვა მსოფლიოს ყოფილი (2003 წელი, პარიზი) ჩემპიონი, კანადელი **პერდიტა ფელისიენი**.

"თავიდანვე კარგი სტარტი ავიღე და პირველი ექვსი ბარიერი უნაკლოდ გადავლახე. მერე კი გამარჯვებისთვის ნამდვილი ბრძოლა გადამხდა", - განაცხადა პერიმ, ვინც ადრე შვიდჭიდელი ყოფილა, მეორე ტიტული მას შემდეგ შეინარჩუნა, რაც ბოლო მეტრებზე გადაასწრო ფელისიენს.

სიმაღლეზე ხტომაში საუკეთესო იყო ბაჰამელი **დონალდ თომასი**, ვინც ადრე კალათბურთელი ყოფილა, მძლეოსანობაზე კი 18 თვის წინათ გადაერთო და უკვე მსოფლიო ჩემპიონია. სიმაღლეზე ხტომაში მისი დებიუტი შარშან შედგა და მაშინვე დახურულ არენაზე 2.20 მეტრი აიღო. არადა, მანამდე ხუთი წელიწადი არ ევარჯიშა.

გუშინვე, ოსაკაში პირველი მედლები მოიპოვეს ბრიტანელებმა. 400 მეტრზე სირბილში თავი გამოიჩინეს **კრისტინ ოჰურუგუმ** და **ნიკოლა სანდერსმა**. პირველმა ოქრო მოიპოვა, მეორემ კი - ვერცხლი. ოჰურუგუ თანამეგობრობის თამაშების ჩემპიონია, მაგრამ შემდეგ, არასაშეჯიბრო დოპინგ-ტესტებზე არგამოცხადების გამო, ერთწლიანი დისკვალიფიკაცია მოიხადა.

"ფინიში რომ გადავკვეთე, საკუთარ თავს ვკითხე, ეს მე ვარ-მეთქი? ეს მართლაც დაუჯერებელია. ყველაზე თამამ ოცნებაშიც კი ვერ წარმოვიდგენდი, თუ დისკვალიფიკაციის შემდეგ მსოფლიო ჩემპიონი გავხდებოდი", - უფრო მეტის თქმა ჩემპიონმა ვეღარ შეძლო, რადგან ცრემლი მოეძალა და აქვითინდა.

გერმანელმა **ფრანკა დიტჩმა** ყველას დაუმტკიცა, რომ ჩემპიონები მარტო ახალგაზრდები კი არა, ხშირად ვეტერანებიც ხდებიან. ხუთი თვის წინ მას 40 წელი შეუსრულდა, ოსაკაში კი მესამედ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული. სხვათა შორის, დიტჩისთვის ეს მსოფლიოს მეცხრე (!) ჩემპიონატია.

"ეს ნამდვილი სასწაულია. მე პატარა გოგონებს ვაჯობე. ისე, სიმართლე თუ გაინტერესებთ, სულაც ვერ ვგრძნობ ჩემს ასაკს ვფიქრობ, ეს ჩემი ბოლო მუნდიალი არ იქნება", - განაცხადა ჩემპიონმა და ისიც ატირდა. ცნობისთვის, პირველი ორი ტიტული მას 1999 და 2005 წლებში აქვს მოპოვებული. ოსაკაში მან ფინალური ეტაპის პირველივე ცდაზე შეასრულა საჩემპიონო ცდა - ბადრო 66.61 მეტრზე გაისროლა და მაშინვე მიხვდა, რომ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ის ავიდოდა.

მერაბ ლორთქიფანიძე



ბერნარდ ლაგატი

მსოფლიოს მე-11 ჩემპიონატი

ოსაკა (იაპონია). მე-4 დღე

სიმაღლეზე ხტომა. კაცები

1. დონალდ თომასი (ბაჰამები)	2.35
2. იაროსლავ რიბაკოვი (რუსეთი)	2.35
3. კირიაკოს იოანუ (კვიპროსი)	2.35
4. სტეფან ჰოლმი (შვედეთი)	2.33
5. ტომაშ იანკუ (ჩეხეთი)	2.30

ბადროს ტყორცნა. ქალები

1. ფრანკა დიტჩი (გერმანია)	66.61
2. დარია პიშჩალნიკოვა (რუსეთი)	65.78
3. იარელის ბარიოსი (კუბა)	63.90
4. ნიკოლეტა გრასუ (რუმინეთი)	63.40
5. ტაიფენ სუნი (ჩინეთი)	63.22

100 მეტრი თარჯრბენით. ქალები

1. მიშელ პერი (აშშ)	12.46
2. პერდიტა ფელისიენი (კან)	12.49
3. დელორეან ენის-ლონდონი (იამაიკა)	12.50
4. სუსანა კალური (შვედეთი)	12.51
5. ვირჯინია პაული (აშშ)	12.55

400 მეტრი. ქალები

1. კრისტინ ოჰურუგუ (ბრიტანეთი)	49.61
2. ნიკოლა სანდერსი (ბრიტანეთი)	49.65
3. კოლეენ უილიამსი (იამაიკა)	49.66
4. ანა გევარა (მექსიკა)	50.16
5. დიდი ტროტერი (აშშ)	50.17

1500 მეტრი. კაცები

1. ბერნარდ ლაგატი (აშშ)	3:34.77
2. რაშიდ რამზი (ბაჰრეინი)	3:35.00
3. ჯოლანდ კიბეტ კორირი (კენია)	3:35.04
4. ასბელ კიპროპი (კენია)	3:35.24
5. ტარეკ ბუკენსა (ალჟირი)	3:35.26

30 აგვისტო. ხუთშაბათი

SPORT 1 (უკრაინა)

07:05 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
08:05 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
08:33 სპორტდოსიე. ვინდსერფინგი.
09:00 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
09:15 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:05 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
10:21 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ლაციო-ტორინო.
12:05 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-მანჩესტერ სიტი.
13:57 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
14:55 სპორტდოსიე. ვინდსერფინგი.
15:20 ფეხბურთი. Barca TV.
15:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ჰანოვერი.
17:15 ხელბურთი.
17:52 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. პალერმო-რომა.
19:37 ფეხბურთი. Barca TV.
18:45 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
20:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპის წილისყრა (LIVE).
21:00 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
21:30 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
21:40 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ვოლფსბურგი-შალკე.
23:35 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
23:45 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
00:35 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
00:45 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
01:45 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
01:55 სპორტდოსიე. ვინდსერფინგი.
02:20 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ლაციო-ტორინო.
04:04 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-მანჩესტერ სიტი.
05:55 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
06:51 სპორტდოსიე. ვინდსერფინგი.

EUROSPORT

09:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. III დღე.
11:45 ნიჩბოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. V დღე. გერმანია (LIVE).
14:30 მძლეოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. VI დღე. ოსაკა. იაპონია (LIVE).
17:30 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. III დღე.
19:00 მძლეოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. VI დღე. მიმოხილვა. ოსაკა. იაპონია.
20:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპის წილისყრა (LIVE).
20:30 ევროგოლი. ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
20:45 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. IV დღე (LIVE).
03:00 მძლეოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. VII დღე. ოსაკა. იაპონია (LIVE).

EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
12:00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (17-წლამდელები). 1/4 ფინალი. ს. კორეა (LIVE).
14:00 ახალი ამბები.
15:00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (17-წლამდელები). 1/4 ფინალი. ს. კორეა (LIVE).
17:00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (17-წლამდელები). 1/4 ფინალი. ს. კორეა.
19:00 ხელბურთი. EHF-ის ჩემპიონთა ლიგა. წინასწარი ეტაპი. I მატჩი. ბრაგა (პორტუგალია)-ბარსელონა (ესპანეთი).
20:00 ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი. I დღე. საფრანგეთი (LIVE).
00:00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (17-წლამდელები). 1/4 ფინალი. ს. კორეა.
01:00 ახალი ამბები.
01:15 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული სეზონი.
02:15 ახალი ამბები.

ცხელი ხაზი

ფეხბურთი

მსოფლიო ჩემპიონატი

UNDER 17. 1/4 ფინალი

ესპანეთი-ჩრ. კორეა	3:0
გვინეა-საფრანგეთი	1:3
განა-ბრაზილია	1:0
პერუ-გაჯიკეთი	1:1, პენ. 5:4

ინგლისის ლიგის თასი

ბრისტოლი-ვანდერერსი სიტი	1:2
ნიუკასლი-ბარნლი	2:0
მილსბრო-ნორთაფლეტონი	2:0

იტალიის თასი

ბორინო-რიმინი	2:2, დ.დ. 3:2
ასკოლი-აგალანგა	1:1, დ.დ. 2:1
კალიარი-სიენა	2:1
ბრესჩია-კაგანა	0:0, პენ. 2:4
უდინეზე-ბარი	3:0
ნაპოლი-ლივორნო	1:1, პენ. 4:3
რეჯინა-პიაჩენცა	3:2
პარმა-იუვენტუს	1:3

საფრანგეთი

მარსელი-ნიცა	0:2
ოსერი-რენი	0:2
ლე მანი-ესკ	0:2
ლილი-მონაკო 0:1
ვესი-ბორდო	0:1
სტ. ეტიენი-სტრასბური	2:0
სოშო-ლიონი	1:2
ლანსი-აჯენი	გადაიდო

უნგრეთი

ნირედიაზა-დიორი	1:0

შოტლანდიის ლიგის თასი

დანდი იუნ-როსი	2:1
მოზერველი-რეითი	3:1

არგენტინა

სიმანსკა ცა-არსენალი	1:0
რივერ პლეიტი-ესტუდიანტესი	4:2
ტრაკანი-არგ. ხუნიორსი	3:2
ინდეპენდიენტე-ბოკა	2:3

იაპონია

გამბა-აშიმა	5:1
იჩიკარა-ოიტა	6:0
კავასაკი-ნაგოია	1:1
ოგიია-აშიმა	1:1
პიროშიმა-ტოკიო	0:5
შიმიზუ-იოკოჰამა	1:0
ჯუბუ-ნიიგატა	0:1
ჯუბე-ურაკა	1:2
იოკოჰამა მარინოს-ივატა	4:1

ამხანაგური მატჩი

ბარსელონა-ინტერი	5:0

კალათბურთი

ამხანაგური მატჩი

ესპანეთი-საფრანგეთი	87:72

ჩოგბურთი

ATP. აშშ-ის ღია

იუჟნი-დევილდერი	6:0, 6:1, 6:2
ბერერი-პრსიეჟნი	6:1, 4:6, 6:1, 7:6
ვავრინკა-კოროლიოვი	4:6, 6:3, 4:6, 6:4, 7:5
კოლშრაიბერი-საბალეტა	6:2, 6:2, 6:4
ჯინეპრი-ო. როხუსი	6:0, 6:3, 6:1
რობრედო-რეინოლდსი	6:3, 7:6, 6:1
ცონგა-ერნანდესი	7:5, 6:1, 6:3
კუნიცინი-გ. ლოპესი	4:6, 6:3, 7:5, 2:6, 7:5
სტარაჩე-გულბისი	5:7, 6:7, 3:6
ფიში-ეჩაგარაი	6:4, 6:1, 6:2
ნადალი-ჯონსი	7:5, 3:6, 6:4, 6:1
მოია-ფაუ	6:1, 6:2, 6:4
ჰენმანი-ტურსუნოვი	6:4, 3:6, 6:3
საფინი-დანჩევიჩი	7:5, 7:6, 7:6

WTA. აშშ-ის ღია

ბამერი-შონესი	6:4, 6:3
დუშევინა-ბიჩკოვა	6:4, 6:3
სუგიამა-მაკაროვა	4:6, 6:4, 2:6
ივანოვიჩი-რეზაი	6:3, 6:1
დემენტიევა-ჩეტკოვსკა	6:3, 6:2
ა. ბონდარენკო-დანილიდუ	6:4, 6:7, 6:3
ანენი-პირონკოვა	6:4, 6:0
ვ. უილიამსი-ოლარუ	6:4, 6:2
ბარტოლი-ერანი	6:4, 6:2

კალათბურთი

მარტინი მეფეებთან დარჩა

უახლოეს დღეებში, "საკრამენტო კინგზი" სასტარტო ხუთეულის წევრ **კევინ მარტინთან** გააფორმებს კონტრაქტს. როგორც სააგენტო "როიტერს" კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა **ჯეფ პეტრიმ** განუცხადა, მომავალი ხელშეკრულება ხუთნლიანი იქნება და ის ძალაში მომავალი სეზონიდან შევა.

"კევინი ლიგის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ახალგაზრდა მოთამაშეა და გვინდა, ის რაც შეიძლება დიდ ხანს დარჩეს ჩვენს გუნდში", - აცხადებს პეტრი.

გასულ სეზონში, ეს შემტევი მცველი "საკრამენტოს" ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი იყო - საშუალოდ მატჩში 20.2 ქულას აგროვებდა.

ორლანდოში პოლონელი ჩაირიცხა

მომავალ სეზონში, "ორლანდო მეჯიქში" პოლონელი ლეგიონერი ითამაშებს. ეს გახლავთ თავდამსხმელი **მარცინ გორტატი**, რომელიც შარშან გერმანიის "კიოლნში" გამოდიოდა.

ორლანდოელთა ახალწვეული ევროლიგის მატჩებში, საშუალოდ 10.4 ქულას, 5.6 მოხსნასა და 1.1 დაფარებას ითვლიდა.

ბესოქი საშობაოზე დაბრუნდა

თურქეთის "გალათასარაიმ" ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა ცენტრალურ თავდამსხმელ **ჰუსეინ ბესოქთან**, რომელმაც ექვსი წლის წინათ დატოვა თურქეთი და თელ-ავივის "მაკაბიში" ჩაირიცხა. შარშანდელი სეზონი ბესოქმა პოლონეთის "სოპოტში" გაატარა.

გასულ წელს, პოლონეთის ჩემპიონატში მისი სტატისტიკური მონაგარი ასეთი იყო: 9.5 ქულა, 5.3 მოხსნა, 1.8 პასი და 1 დაფარება.

არისის პირველი შენაძენი

ევროლიგის მონაწილე საბერძნეთის "არისმა" შემადგენლობა ამერიკელი ფორვარდით, **რეიშონ ტერით** გააძლიერა. კალათბურთელი, რომელიც ამ ზაფხულს ბერძნული კლუბის პირველი შენაძენი გახდა, შარშან ჩრდილოეთ კაროლინას უნივერსიტეტში თამაშობდა.

ფოკერი

სკოტ ნიდერმაიერი რჩება?

ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ სტენლის თასის მფლობელის, "ანაჰაიმ დაქსის" წამყვანი მცველი **სკოტ ნიდერმაიერი** კარიერას კიდევ ერთი წლით გააგრძელებს.

როგორც ცნობილია, შარშანდელი ფლეი ოფის საუკეთესო მოთამაშემ "ოტავასთან" ფინალური სერიის შემდეგ გამოაცხადა, რომ სავარაუდოდ, კარიერას დაასრულებდა, მაგრამ ახლა, ნიდერმაიერი სხვანირად საუბრობს ჟურნალისტებთან.

"ფლეი ოფის დასრულების შემდეგ, ყველაფერს სხვა თვალით უყურებ, ვინაიდან გრძელი სეზონით ძალიან გადაღლილი ხარ. მაგრამ დრო გავიდა და ჩემი ფიზიკური მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა, ამიტომაც ბევრი რამ იცვლება, მათ შორის ჩემი ფიქრებიც", - ამბობს ნიდერმაიერი.

■ ■ ■

ამასობაში, "ანაჰაიმმა" ფორვარდ **კრის კუნიტცთან** 2012 წლის ზაფხულამდე გააგრძელა კონტრაქტი. მომდევნო ხუთი სეზონის განმავლობაში, 27 წლის ჰოკეისტი 14.9 მილიონ დოლარს მიიღებს.

გასულ რეგულარულში ამ ფორვარდმა შედეგიანად ითამაშა და 60 ქულა (25 გოლი+35 პასი) დააგროვა, ფლეი ოფის 13 მატჩში კი, მის ანგარიშზე მხოლოდ 6 ქულა (1+5) მოდიოდა.

კოლორადომ კლარკი დაიტოვა

"კოლორადო ეველანშმა" თავისი ერთ-ერთი ყველაზე შედეგიანი მცველი, **ბერტ კლარკი** შეინარჩუნა. ეს უკანასკნელი კლუბში კიდევ ორი წელიწადი ითამაშებს და ამის სანაცვლოდ 7 მილიონ დოლარს მიიღებს.

აღსანიშნავია, რომ კლარკმა გასულ წელს, რეგულარული ჩემპიონატის ყველა, 82 მატჩში მიიღო მონაწილეობა და 39 ქულით (10 გოლი+29 პასი) დაეხმარა თავის გუნდს.

ოკეი ლიგ ციხ ქვეშ

"პიტსბურგ პინგვინზი" და "ბაფალო სეიბრზი" 2008 წლის დასაწყისში ღია მოედანზე გამართავენ რეგულარული ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრას.

სავარაუდოდ, ეს მატჩი ნიუ იორკში გაიმართება და NHL-ის ხელმძღვანელობა მისი ჩატარების ზუსტ თარიღს 10 სექტემბერს გამოაცხადებს.



კობი და ლებრონი კარგ ხასიათზე არიან

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

რევანში სამი წლის შემდეგ

სამი წლის წინათ, ათენის ოლიმპიურ თამაშებზე, პუერტო რიკომ ამერიკის ნაკრებს, მისი არსებობის ისტორიაში ყველაზე სამარცხვინო მარცხი აგება. **კარლოს არაიომ** და მისმა თანაგუნდელებმა, თამაშიდან ტყორცნების 56 პროცენტი გამოიყენეს და "დრიმ თიმს" 92:73 მოუგეს. ამერიკელთა მაშინდელ შემადგენლობაში, დღევანდელი გუნდის სამი წევრი - **კარმელო ენტონი, ლებრონ ჯეიმსი** და **ამარე სტაუდმაიერი** ირიცხებოდნენ.

პუერტო რიკომ შარშანდელ მსოფლიო ჩემპიონატზეც დიდი ბრძოლა გაუმართა აშშ-ს. პირველი ტაიმი ექვსი ქულით წააგო, მატჩი კი - 100:111. მაშინაც, პუერტოკიოელებს თამაშიდან ტყორცნების მაღალი პროცენტული მაჩვენებელი ჰქონდათ (54).

როგორც ხედავთ, პუერტო რიკო NBA-ის ვარსკვლავებისთვის ყოველთვის უხერხულ მეტოქედ ითვლებოდა. მაგრამ ამჯერად ყველაფერი თავის ადგილას დადგა. მასპინძლებმა უკვე პირველ ტაიმში მოათავეს საქმე, როცა 32 ქულით გავიდნენ წინ. ამჯერად არაფერი გამოუვიდა პუერტო რიკოს ლიდერს, კარლოს არაიოს. მან უკვე მესამე მეოთხედში ამოწურა პერსონალურების ლიმიტი და თამაში 12 ქულით დატოვა.

ამერიკელთა რიგებში ყველაზე შედეგიანი **ლებრონ ჯეიმსი** იყო, რომელიც ამ ტურნირზე ფანტასტიკური სიზუსტით გამორჩევა - "კლივლენდის" ვარსკვლავი სროლების 75 პროცენტს ათავსებს კალათში. ასევე მაღალია 3-ქულიანების გამოყენების პროცენტიც - 63.3. პუერტო რიკოსთან, ლებრონმა 5-დან 5 შორეული ტყორცნა ჩააგდო.

ამერიკამ, ისევე როგორც არგენტინამ, ნახევარფინალში თამაში გაინაღდა. გუშინ, **მაიკ კრუჟევსკის** გუნდი ურუგვაის უნდა შეხვედროდა, ბოლო ტურში კი, ცენტრალური მატჩი გაიმართება: აშშ-არგენტინა.

ამასობაში, გაუმართლა ბრაზილიის ნაკრებს, რომელმაც მექსიკას მოუგო, ხოლო მისმა უშუალო მეტოქეებმა - ურუგვაიმ და კანადამ თავიანთი მატჩები წააგეს. ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ ბრაზილია ჯგუფში მესამე ადგილს დაიკავებს და ნახევარფინალში არგენტინას შეხვდა. სხვათა შორის, გუშინ, გვიან ღამით, ამ ნახევარფინალის ერთგვარი რეპეტიცია იმართებოდა: არგენტინა და ბრაზილია ამ ტურნირზე პირველად ხვდებოდნენ ერთმანეთს. ამის შესახებ, ხვალინდელ ნომერში ვისაუბროთ.

მეოთხედფინალური რაუნდი

პუერტო რიკო-აშშ	**78:117**
15:24, 12:35, 29:29, 22:29	

პუერტო რიკო: აიუსო (13), არაიოო (12+6 მ).
აშშ: ჯეიმსი (21+4 მ+4 პ), ენტონი (17), რედი (15), ბრაიანტი (14+2 დ), სტაუდმაიერი (12+8 მ).

მექსიკა-ბრაზილია	**90:104**
22:24, 17:29, 24:34, 27:17	

მექსიკა: ბეკი (29), ლოს რეიესი (17+10 მ), დურასო (13+4 მ+ 5 პ+4 ჩ).
ბრაზილია: ბარბოსა (21+5 პ), ნენე (17+7 მ+3 პ+2 დ), და როსა (15+5 მ), მაჩადო (11+6 მ+6 პ).

კანადა-არგენტინა	**70:85**
8:26, 8:20, 24:16, 30:23	

კანადა: ტომასი (13), ანდერსონი (10+4 მ), ინგლიში (10), დალემბერი (9+16 მ).
არგენტინა: სკოლა (23+6 მ), დელფინო (15+6 მ), გუტიერესი (12), გონსალესი (11+11 მ), კინტეროსი (10), პრიჯიონი (3+11 პ+4 მ).

ვენესუელა-ურუგვაი	**88:79**
25:25, 26:10, 17:20, 20:24	

ვენესუელა: რომერო (35+11 მ), ბარიოსი (19+4 მ+2 დ), მარიაგა (15+10 მ+6 დ).
ურუგვაი: ბატისტა (21+20 მ), აგუირი (20+4 მ), მაზარინო (18).

სატურნირო მდგომარეობა: *1. აშშ - 10 ქულა (5 მატჩი); 2. არგენტინა - 10 (5); 3. ბრაზილია - 8 (5); 4. ურუგვაი - 7 (5); 5. კანადა - 7 (5); 6. პუერტო რიკო - 6 (5); 7. მექსიკა - 6 (5); 8. ვენესუელა - 6 (5).*

გერმანელებისა და რუსების არჩევანი

ევროპის ჩემპიონატის მონაწილე კიდევ ერთმა გუნდმა დაასახელა საბოლოო შემადგენლობა. გერმანიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **დირკ ბაუერმანმა** ევრობასკეტისთვის 12 კალათბურთელი შეარჩია. მათი სია გერმანიის საკალათბურთო კავშირის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა.

მცველები: მითათ დემირელი (ვერაინი), რობერტ გარეტი, დემონდ გრინი, სტეფან ჰამანი (ყველა - ბროზე ბასკეტი), პასკალ როლერი (სკაილაინერსი), იოჰანეს ჰერბერი (ალბა);

ფორვარდები: გვიდო გრიუნჰაიდი (გრონინგენი, ჰოლანდია), დირკ ნოვიცკი (დალასი, NBA), ადემოლა ოკულაჯა (ბროზე ბასკეტი), სვენ შულცე (უდინე, იტალია);

ცენტრები: პატრიკ ფემერლინგი (ალბა), იან-ჰენდრიკ იაგლა (ხუვენტუდი, ესპანეთი).

■ ■ ■

12 კალათბურთელი შეარჩია რუსეთის ნაკრების დამრიგებელმა **დევიდ ბლატმაც**. ესპანეთში შემდეგი მოთამაშეები გაემგზავრებიან:

მცველები: ზახარ პაშუტინი, ჯონ ჰოლდენი (ორივე - ცსკა), სერგეი ბიკოვი, პეტრ სამოილენკო (ორივე - დინამო), ანტონ პონკრაშოვი (ხიმკი), იგორ ვიალცევი (ურალ-გრეიტი);

ფორვარდები: ანდრეი კირილენკო ("იუტა", NBA), სერგეი მონია (დინამო), ვიქტორ ხრიაპა ("ჩიკაგო", NBA), ნიკიტა შაბალკინი (ხიმკი).

ცენტრები: ნიკიტა მორგუნოვი ("ტრიუმფი"), ალექსეი სავრასენკო (ცსკა).

ევროპის ჩემპიონატი ესპანეთში 3 სექტემბერს დაიწყება.

ᲐᲨᲨ-ᲘᲡ ᲦᲘᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ

ყოფილი ჩემპიონები მეორე წრეში

აშშ-ის ღია პირველობის მეორე დღემ დიდი სიურპრიზების გარეშე ჩაიარა. ერთადერთი მცირე მოულოდნელობა ის იყო, რომ პირველი წრის გავლა ვერ შეძლო მეცხრე ნომრად განთესილმა სლოვაკმა **დანიელა ჰანტუხოვამ**, ვისაც გუდა-ნაბადი უკრაინელმა **იულია ვაკულენკომ** ააკვრევინა.

სხვა მხრივ, მომდევნო წრეში თამაშის უფლება მოიპოვეს აშშ-ის ღიას მოქმედმა და ყოფილმა ჩემპიონებმა: ავსტრალიელმა **ლეიტონ ჰიუიტმა** გზიდან ამერიკელი **ამერ დელიჩი** ჩამოიცილა, შვეიცარიელმა **მატინა ჰინგისმა** ფრანგ **მატილდა იოჰანსონს** მოუგო, რუსმა **სვეტლანა კუზნეცოვამ**, ჩეხი **კლარა ზაკოპალოვა** დაამარცხა. ამერიკელმა **ენდი როდიკმა** ხუმრობა-ღლაბუცში თანამემამულე **ჯასტინ გიმელსტობს მოუგო**. რუსმა **მარია შარაპოვამ** კი მხოლოდ ერთი გეიმი დაუთმო იტალიელ **რობერტა ვინჩის**.

გიმელსტობი, როგორც ჩანს, თავიდანვე შეგუებული იყო მარცხს. ყოველ შემთხვევაში, მეგობართან შეხვედრის დროს და, განსაკუთრებით, მისი დასრულების შემდეგ, ერთობ ახალისა მაყურებელი. მას ამაში მხარი როდიკმაც აუბა. შეხვედრის შემდეგ, რომელიც გიმელსტობისთვის აშშ-ის ღიაზე ერთეულების ბადეში ბოლო თამაში იყო, ჩოგბურთელებმა ერთმანეთისგან ინტერვიუები აიღეს და ბევრიც იგლახავეს.

გიმელსტობმა ინტერვიუს დროს გაანცხადა, ამ სეზონის ბოლომდე კიდევ სამ ტურნირზე გამოსვლას ვაპირებო, რაზეც როდიკს გაუკვირდა - მე კი მეგონა, რომ ამ მატჩში საბოლოოდ მოგითავე ხელიო. მოკლედ, მათ ცოტა ხნით მაყურებელს ჩოგბურთი დაავიწყეს და იუმორის საღამო მოუწყეს.

მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა ჰიუიტმა დელიჩის დასამარცხებლად 97 წუთი იმყოფინა, შემდეგ კი თავისი მეტოქეც აქო - ამერი ისეთი ჩოგბურთელია, ვისაც თუ ნახევარ შანსს მისცემ, მასაც გამოიყენებს, მუდამ აგრესიულად თამაშობს და ხშირად იღბალს ბადესთან ეძებსო. სამაგიეროდ, მეტოქის ნაკლსაც გაუსვა ხაზი - მაგის მინუსი ხაზიდან არასტაბილური თამაშიაო.

ჰანტუხოვას ცუდი სამსახური მის მიერვე დაშვებულმა შეცდომებმა გაუწია - სლოვაკი უნებლიედ 32-ჯერ შეცდა. რაც მთავარია, შეცდომებს კრიტიკულ მომენტებში უშვებდა. შედეგად, აშშ-ის ღიას პირველივე წრეში მეორედ დაემშვიდობა (პირველად ეს 2001 წელს მოხდა).

პირველ ორ სეტში მეტოქეებმა თითო მოიგეს და თითქოს, მეორეს მოგებით, სლოვაკმა თამაშში გარდატეხაც შეიტანა. მაგრამ გადამწყვეტში უკრაინელმა ორჯერ შეძლო მეტოქის მოწოდებაზე ქულის აღება და მეორე წრეში თამაშის უფლებაც მოიპოვა.

რაც შეეხება ჰანტუხოვას, ამ სეზონში ის საკმაოდ კარგად თამაშობდა - ინდიან ველსის ტურნირი მოიგო და ოთხი ტურნირის ნახევარფინალში ითამაშა, მაგრამ ერთი თვის წინათ, ლოს ანჯელესში თამაშისას გაცივდა, რამაც მის ფორმაზე უარყოფითად იმოქმედა. ცოტა ხნის წინ, ნიუ ჰეივენის ტურნირსაც პირველ წრეშივე გამოეთიშა და მსგავსი კრახი ახლა "ფლაშინგ მიდოუსზეც" განიცადა.

ᲜᲘᲣ ᲘᲝᲠᲙᲘ (ᲐᲨᲨ). ᲞᲐᲠᲓᲘ

ᲡᲐᲞᲠᲘᲖᲝ ᲤᲝᲜᲓᲘ: 19 653 000 დოლარი

I ᲬᲠᲔ

ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲔᲑᲘ

ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბ, 3)-რობინ ჰაასე (ჰოლ) 6:2, 6:1, 6:3; **ენდი როდიკი (აშშ, 5)**-ჯასტინ გიმელსტობი (აშშ) 7:6(6), 6:3, 6:3; **ჯეიმს ბლეიკი (აშშ, 6)**-მაიკლ რასელი (აშშ) 7:6(6), 6:3, 7:6(4); **ივან ლიუბიჩიჩი (ხორვ, 12)**-კრისტოფ ვლიგენი (ბელგ) 6:1, 7:6(1), 6:1; **დავიდ ფერერი (ესპ, 15)**-ფლორიან მაიერი (გერ) 6:3, 6:2, 6:3; **ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალ, 16)**-ამერ დელიჩი (აშშ) 6:2, 6:4, 6:2; **ხუან იგნასიო ჩელა (არგ, 20)**-მაიკლ მაკკლუნი (აშშ) 6:2, 6:1, 7:6(0); **ხუან მონაკო (არნგ, 23)**-ედუარდ როჟე-ვასელენი (საფ) 6:2, 3:6, 6:1, 7:5; **დავიდ ნალბანდიანი (არგ, 24)**-ივან ნავარო პასტორი (ესპ) 7:5, 7:6(4), 7:6(6); **მიშელ ლოდრა (საფ)**-ფილიპო ვოლანდრი (იტა, 29) 6:3, 4:6, 6:4, 6:4; **იურგენ მელცერი (ავსტ, 31)**-დიეგო ჰარტფილდი (არგ) 6:4, 7:5, 7:5; **არნო კლემანი (საფ)**-ივო კარლოვიჩი (ხორვ, 32) 7:6(5), 6:4, 4:6, 6:7(6), 7:6(2); **აგუსტინ კალერი (არგ)**-ანდრეას ზეპი (იტა) 6:4, 6:4, 3:6, 7:5; **.რადეკ სტეპანეკი (ჩეხ)**-კარლოს ბერლოში (არგ) 7:6(3), 6:7(4), 6:4, 4:2; **ფლორან სერა (საფ)**-ვერნერ ეშაუერი (ავსტ) 6:7(3), 7:6(2), 6:4, 6:2; **ქსავიე მალისი (ბელგ)**-კრიტიან პლესი (დან) 6:4, 6:7(5), 6:3, 7:5; **ტომას იოჰანსონი (შვედ)**-ნიკოლას მასუ (ჩილე) 2:6, 7:6(3), 6:3, 6:3; **უეინ ოდესნიკი (აშშ)**-დანაი უდომჩოკე (ტაილ) 6:7(2), 6:3, 6:1, 3:6, 7:6(2); **შტეფან კუბეკი (ავსტ)**-სემ ქვერი (აშშ) 7:6(1), 6:1, 6:1; **ანდრეი პაველი (რუმ)**-დომინიკ მეფერტი (გერ) 3:6, 6:3, 6:2, 7:5; **დუდი სელა (ისრ)**-ნიკოლას ლაპენტი (ეკვა) 5:7, 6:2, 6:1, 6:3; **ხუან მარტინ დელ პორტო (არგ)**-ნიკოლა მაიუ (საფ) 6:0, 6:4, 6:2; **ხოსე აკასუსო (არგ)**-მარტინ ვასალო არგელო (არგ) 6:4, 6:7(2), 6:3, 6:4; **ფაბრის სანტორო (საფ)**-ალბერტ მონტანესი (ესპ) 6:1, 6:7(8), 6:2, 6:1

ᲥᲐᲚᲔᲑᲘ

მარია შარაპოვა (რუს, 2)-რობერტა ვინჩი (იტა) 6:0, 6:1; **სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 4)**-კლარა ზაკოპალოვა (ჩეხ) 6:2, 6:3; **ანა ჩაკვეტაძე (რუს, 6)**-ეშლი უეინჰოლდი (აშშ) 6:1, 6:1; **ნადეჟდა პეტროვა (რუს, 7)**-ტიმეა ბაჩინსკი (შვეი) 6:3, 6:1; **იულია ვაკულენკო (უკრ)**-დანიელა ჰანტუხოვა (სლვკ, 9) 6:4, 4:6, 6:1; **პატი შნიდერი (შვეი, 11)**-ივეტა ბენეშოვა (ჩეხ) 6:3, 6:0; **ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ, 13)**-ალა კუდრიავცევა (რუს) 6:1, 6:2; **მარტინა ჰინგისი (შვეი, 16)**-მატილდა იოჰანსონი (საფ) 6:0, 6:3; **შაპარ პეერი (ისრ, 18)**-მეილენ ტიუ (აშშ) 6:4, 7:6(7); **კატარინა სრებოტნიკი (სლო, 22)**-ალისია მოლიკი (ავსტრალ) 6:2, 6:2; **დომინიკა ჩიბულკოვა (სლვკ)**-ტატიანა გარბინი (იტა, 23) 6:4, 6:3; **ფრანჩესკა სკიავონე (იტა, 24)**-ნატალი დეში (საფ) 6:3, 6:1; **სანია მირზა (ინდ, 26)**-კაია კანეპი (ესტ) 6:2, 6:7(5), 6:1; **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 30)**-აკიკო მორიგამი (იაპ) 6:2, 6:1; **ანაბელ მედინა გარიგსი (ესპ, 31)**-ლექსანდრა ვოზნიაკი (კან) 6:3, 6:3; **მიხაელა კრაიჩეკი (ჰოლ, 32)**-ალბერტა ბრიანტი (იტა) 6:2, 6:0; **კამილ პენი (საფ)**-ტატიანა პერებიინისი (უკრ) 6:1, 6:2; **ვირჟინი რასანო (საფ)**-ემილი ლუა (საფ) 6:1, 6:2; **პაულინ პარმენტიე (საფ)**-ტატიანა მალეკი (გერ) 6:2, 6:4; **ლურდეს დომინგეს ლინო (ესპ)**-იოონ ძეონ ჩო (სამხ.კორ) 3:6, 6:3, 6:3; **კეისი დელ'აკვა (ავსტრა)**-იაროსლავა შვედოვა (რუს) 6:3, 6:2; **ლორა გრენვილი (აშშ)**-ოლივა სანჩესი (საფრანგეთი) 6:2, 6:2; **ვიქტორია აზარენკა (ბელა)**-ემანუელე გალიარდი (შვეი) 6:1, 6:1; **ნიკოლ პრატი (ავსტ)**-ჯამეა ჯეკსონი (აშშ) 3:6, 6:4, 6:0; **სევერინ ბრემონი (საფ)**-ედინა გალოვიცი (რუმ) 6:1, 7:5; **ანასტასია როდიონოვა (რუს)**-ოლგა სავჩუკი (უკრ) 6:4, 6:4; **ელენა კოსტანიჩი (ხორვ)**-ელენა ვესნინა (რუს) 6:4, 6:2; **ტამირა პაშეკი (ავსტ)**-გრეტა არნი (გერ) 6:4, 6:4; **აგნეშ შავეი (უნგ)**-სანდრა კლიოზელი (გერ) 6:1, 6:2; **ბეთანი მატეკი (აშშ)**-მედისონ ბრენგლი (აშშ) 6:4, 6:1; **ფლავია პენეტა (იტა)**-შუაი პენი ჩინ) 1:6, 6:3, 6:4; **მარია კირილენკო (რუს)**-მარტინა მიულერი (გერ) 6:3, 6:1

როდიკმა და გიმელსტობმა თამაშის დროსაც და შემდეგაც ბევრი ილაყბეს

სპორტული გაზეთი

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
თენგიზ გაჩეჩილაძე

ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ
პაატა გელაშვილი

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘ
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად ფათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘ
შალვა გიგილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲙᲝᲠᲔᲡ�პᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ᲤᲝᲢᲝ
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
მიხეილ ჯაში

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

ᲙᲝᲠᲔᲥᲢᲣᲠᲐ
ლელა ხომასურიძე
ლევან გიგილაშვილი

ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ:
დავით მაისურაძე
(დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაპიძე,
ქეთევან დიდგორიძე

ᲛᲐᲠᲙᲔᲢᲘᲜ�გᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ
თამარ ჯიმსარიანი (ტ: 46 34 48)
გაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ᲚᲔᲚᲝᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ გასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘ: **შას გაზეთი ლელო, შას სპორტმედია**

ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲘ:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ
ახმეტელის 10ᵃ,
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ: 46 30 98,
46 30 56, 46 32 62,
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
53-39-11
ᲤᲐᲥᲡᲘ: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
ინდექსი 66435 INDEX

ᲒᲐᲛᲝᲚᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ. ᲒᲐᲠᲓᲐ ᲥᲕᲘᲠᲘᲡᲐ